№ 2934
ოთხშაბათი,
26 ოქტომბერი

ცნობის ფურცელი

№ 2934
ოთხშაბათი,
26 ოქტომბერი

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრ-ქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

თავ. ივანე გიორგის ძე და კნ. სუსანნა მორისის ასული ჯორჯაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაგიკულ სიკვდილს ძვირფასს ქალის და სიძის

კნ. ეკატერინე ივანეს ასულ ს და თავ. გიორგი ალექსანდრეს ძის ვაჩნაძისას.

გამოსვენება 26 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, საკუთარ ბინიდან, ელისაბედის ქუჩა, № 29 ნიკოლოზის ეკკლესიაში. (1—1)

ვლადიმერ ალმასხანის ძე გოგიბერიძე და გიორგი გრიგორის ძე ფარსადანოვი ვაუწყებთ ნაცნობთ და ნათესავებს, რომ 22 ოქტომბერს მოჰკლეს სამხატვრო სასწავლებლის მოწაფე

სოფიო დავითის ასული ქათამაძე და სიმონ ჟანუყაძე,

რომელნიც დავასაფლავეთ 24 ოქტომბერს.

ძმანი დიასამიძენი და კნეინა **ეკატერინე ნიკოლოზის ასული წერეთლისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას საყვარელი მამიდის

კნეინა ნინო დავითის ასული ერისთავისა.

დაკრძალვა იქნება 27 ოქტომბერს სოფ. საქაშეთში. (1—418 -1)

22 ღვინობისთვეს უდროვოდ სიცოცხლეს გამოსალმებულ

დავით მიხეილის ძე ასხაბაძეს

ხუთშაბათს, 27 ოქტომბერს, დილის 9 საათზე წაასვენებენ ანჩისხატის საკრებულო ტაძარში და იქიდან პეტრეპავლეს სასაფლაოზე, რასაც უიმედოთ დარჩენილნი მისი ცოლშვილი და დედა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. ბინა, სათავად-აზნაურო გიმნაზიის გვერდით ვიწრო ქუჩაში. (1—417—1)

რახილ ესტატეს ასული, ესტატე, სალოევ და ნიკოლოოზ იასონის ძენი და ასული გიგო, დავით, და ნიკოლოზ სარდიონის ძენი და მარსელინა თავ. ციციშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 27 ოქტომბერს, ტფ. წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში (ჩუღურეთს) გადახდილი იქნება მეორმოცე დღეს წირვა და პანაშვიდი

იასონ სარდიონი ძის ციციშვილის

სულის მოსახსენებლად.

სალამოს კურსები დედების და აღმზრდელებისთვის ს. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის ქალისა. ტფილისი, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა № 13. წლიური კურსი. სასწავლო საგნები: ბავშვთა ფიზიოლოგიის და გიგიენის საფუძველნი. ყოველდღიურ ცხოვრების ქიმია. ფიზიკა, ზოოლოგია და ბოტანიკა. ბავშვთა პსიხოლოგია. თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა საბავშვო ბაღებში. საბავშვო ლიტერატურა. ბავშთა თეთრეულის ჭრა-კერვა. არის განყოფილება ქართულს და სომხურს ენებზე. განზრახულია მოწვეულ იქმნან შემდეგი ლექტორები: **გ. გ. ალიბეგოვი, ექიმი ე. მ. არცრუნი, ს. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის ქალი, გ. ნ. გეხტმანი, ნ. ვ. ელჩანინოვი, ბ. კარიჭაშვილი, მანანდიანი, ექიმი ა. ი. ხატისოვი.**

მსმენელნი მიიღებიან 15 ოქტომბრიდამ. დასაწყისი მეცადინეობისა პირველ ნოემბრიდამ. ამ წელს შვიდი თვის კურსი იქნება. ყველა ლექციების ფასი 40 მან. გადახდილ უნდა იქმნას ორ ნაწილად. მასწავლებელ ქალებს შეუძლიანთ ფასი ნაწილ-ნაწილად იხადონ. (1—415—1)

სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობა.

ი. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.

პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

გ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შტნაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.

ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. კალის ავადმყოფ ჩანი და ბებიაობა.

მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—13)

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველდღე 9—2-მდე და 5—7 საათამდე, კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპექტი № 12, სახლი მდივნისა. (30—29)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50—368—12)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილ. 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა, სახლი სვანიშვილისა № 15

ექიმი
მ. პ. ბეჟირგანოვი

სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათ. (თვ.—1)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გასინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 ს. საღამოთ 5—7 ს.-მდე. მიხეილის პროსპ. № 154. (თვ.—371—14)

ექიმი
მ. დ. კილოსანიძე

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. და საღამოობით 5—6 ს.-მდე კოჩუბეევის ქ. № 23 (მიხაილოვის ქუჩიდან). (15—366—14)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი

გადავიდა ახალ ბინაზედ მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთეს პლომბებს, სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველ გვარ მეთოდზე, დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათამდე. (თვ.—80—19)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 8—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 18. (წლ.)

მედიცინის დოქტორმა
გ. ი. გურგენოვმა,

შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროსპ., სახ. მდივნისა, № 12, საარტისტო საზოგადოების შენობის პირდაპირ. (თვ.—406—8)

ტფილისი, 24 ოქტომბერი.

სიხარული და მწუხარება ძნელად დაისადგურებს ადამიანის გულში ერთსა და იმავე დროს ისე ღრმად, ისე ძლიერად, როგორც ამ ჟამად. ერთის მხრივ 17 ოქტომბრის უმაღლესი მანიფესტი, რომელმაც სანქცია მისცა მშრომელ ხალხისაგან ხანგრძლივის და თავგანწირულის ბრძოლით მოპოვებულს თავისუფლებას, და მეორის მხრივ რუსეთის ბნელი ძალებისაგან მოწყობილი სისხლის ღვრა უკვე თავისუფალ მოქალაქეებისა, თითქოს ერთი მეორეს ეჭიდებიან შთაბეჭდილებათა ძლიერებით.

თავისუფალმა, მებრძოლმა, სარევოლიუციო რუსეთმა დაიწყო თუ არა თავის ძალების მოგროვება ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობაზე შეერთებულის ძალღონით გამანადგურებელ იერიშის მისატანად, შეიკრა თუ არა ფაქტიურად ზნეობრივი კავშირი მშრომელის ხალხისა თავისუფალ მოაზრე პროფესსიონალურ კავშირებთან, სარევოლიუციო ენერგია ისეთის ძლევამოსილების მრისხანებით გამოქანდაკდა საყოველთაო პოლიტიკურს გაფიცვაში, რომ იმისმა მოწინააღმდეგემ ფიზიკურს ბრძოლას უეცრივ მხარი აუქცია და ნებაყოფლობით დაუთმო ხალხს კონსტიტუცია, რომლის გახსენებაც-კი აქამომდე შეუწყნარებელ დანაშაულობად გვეთვლებოდა. ჩვიდმეტ ოქტომბრის მანიფესტით ერთბაშად უარყოფილ იქმნა წინანდელი თეორია რუსეთის სახელმწიფო უფლებისა; თვითმპყრობელობის ეგრედ წოდებული „შეურყეველი საფუძველი", კანონი ხალხის დაუდასტურებლად კანონმდებლობის განხორციელებისა მოისპო, ამიერიდან ხალხი თვითონ იქნება კანონმდებლობის ბატონი, ამ თეორიულს ცვლილებას შეესაბამება ფაქტიური ცვლილება თითოეულ მოქალაქის მდგომარეობისა: სინიდისი, სიტყვა, კრება და კავშირი თავისუფალია, ადამიანის პიროვნება ხელშეუხებლად არის აღიარებული. უმაღლესი მანიფესტის გამოცემით რუსეთში თეორიულად უფლებრივი წესწყობილება დამყარდა, თვითმპყრობელობითი აბსოლიუტიზმი შეიცვალა საკონსტიტუციო რეჟიმით.

გამარჯვების ნაყოფი მით უფრო ტკბილია, რაც მეტი შრომა და მსხვერპლი იყო დახარჯული იმის მოსაპოვებლად. ჩვენც გვიხარიან, ჩვენც აღტაცებული ვართ 17 ოქტომბრის ძირითადის რეფორმით, მაგრამ ამ სიხარულს არ ძალუძს დაჩრდილოს ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაკლია და კიდევ ბევრი შრომა გვჭირია ჩვენის უახლოეს მისწრაფებების განსახორციელებლად.

რუსეთის კანონმდებლობის გზა „მიუწდომელიაო", სწერდნენ და ამბობდნენ 17 ოქტომბრამდე. ეხლანდელ მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა ის იყო და ის არის, რომ ეს გზა მიუწდომელი აღარ იყოს, რომ არავის არ შეეძლოს „მიუწდომელ ძალთა შთაგონებით" ახალის წესების და კანონების შემოღება; ხალხის წარმომადგენლებს მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ ნამდვილად უდარაჯონ კანონიერებას, როდესაც მმართველობის სათავეში ხალხის წარმომადგენელთაგან არჩეული პირი სდგას, როდესაც უფროსი ანუ პირველი მინისტრი ხალხის წარმომადგენლებს კიდეც შეუძლიანთ აირჩიონ, კიდეც შეუძლიანთ გადააყენონ. უამისოდ არ არსებობს რეალური გარანტია უფლებრივის წესწყობილებისა: უამისოდ კონსტიტუცია და მოქალაქეთა თავისუფლება მხოლოდ მორალურს ნიადაგზეა დამყარებული, პოლიტიკა კი საერთოდ ისეთი სფეროა, სადაც ზნეობას მაგრე რიგად გასავალი არა აქვს.

დიაღ, 17 ოქტომბრის რეფორმა მხოლოდ სუსტად აკმაყოფილებს ეხლანდელ მოძრაობის იდეალს, მაგრამ დრო და გარემოება დღეს ნებას არ გვაძლევს ამ მხრივ განვაგრძოთ ჩვენი აზრების განვითარება.

ბიუროკრატიული თვით-მპყრობელობა პეტრე დიდის დროიდან მოკიდებული 1905 წლის ჩვიდმეტ ოქტომბრამდე შეუჩერებლივ ზრდიდა თავის ფესვებს რუსეთის ცხოვრებაში, იკეთებდა იქ ნიადაგს, იძენდა ფანატიკურ მომხრეებს. თვითმპყრობელობა მარტოოდენ ცხოვრების გარეშე და იმის მწვერვალზე არ იყო, პირიქით იმისი აგენტები შეადგენდნენ მთლად ეგრედ წოდებულს ოფიციალურს რუსეთს, მისივე აგენტები იყვნენ ის მუქთა-მჭამლები, რომელთაც ბიუროკრატიული თვითმპყრობელობა ათას გვარის წყალობით აჯილდოვებდა მათის ფანატიკურის თანაგრძნობის მოსაპოვებლად, იმისივე აგენტი იყო ის გონებრივი და ზნეობრივი ბედოვლათობა, ის გონებრივი სიბნელე და ზნეობრივი გარყვნილება, რომელსაც პოლიციის მათრახი და ყაზახის ტყვია იფარავდა განათლებისა და გამოფხიზლებისაგან. ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის დაცემასთან ერთად დაეცა აგრეთვე იმისი მრავალგვარი პრინციპიალური და არა პრინციპიალური მომხრე. არავინ არა სთმობს იდილლიურის სიწყნარით თავის უფლებებს და ეკონომიურად უზრუნველ-ყოფილ მუქთა-ხორის მდგომარეობას, არც ბიუროკრატიულ თვით-მპყრობელობის სხვა და სხვა გვარმა ბედოვლათებმა მოისურვეს წყნარი შერიგება ახალ რეჟიმთან, რომელსაც იმათთვის სიკვდილი მოაქვს; 18 ოქტომბერსვე დაიწყო ბნელ ძალების მოძრაობა რუსეთის დედა ქალაქს მოსკოვში. მოსკოვის ქლეტა-ხოცვა თითქოს ბრძოლის ნიშანი იყო და ამ ჟამად უკვე მთელს რუსეთში ამოძრავდა იგი. ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის გაუქმებით გაფთრებული ბნელი ძალა, პოლიციის ნებაყოფლობით და შეიარაღებულ სამხედრო ძალის მფარველობით, აგროვებს თავის ღონეს, მედიდურად დაიარება ქუჩებში, განუსჯელად და დაუსჯელად ანადგურებს ქვეყანას, შეუბრალებლად ჰღვრის მშვიდ მოქალაქეების სისხლს და მთელის ქვეყნის წალეკას იმუქრება.

ეს შემაძრწუნებელი, თავზარ დამცემი გარემოება, რომლის ერთ-ერთი საზიზღარი ტალღა 22 ოქტომბერს ტფილისის ქუჩებსაც ესტუმრა, ყველა თავისუფალ მოქალაქეს ვალად სდებს, გაითვალისწინოს ეხლანდელი მდგომარეობა და მთელი თავისი ზნეობრივი და მოქალაქური ძალღონე იხმაროს რეაქციის დასაძლევად. თავისუფლებისთვის ბრძოლა ჯერ არ გათავებულა, ის მხოლოდ ეხლა სდგება იმ კალაპოტში, რომელმაც მოქალაქურის ხელშეუხებლობისა და სრულის თავისუფლების ნიადაგზე უნდა გადაშალოს **შემდეგში** მშვიდობიანი ასპარეზი პოლიტიკურ მიმართულებათა შორის მშვიდობიანის ბრძოლისა.

* * *

განა გვიბოძეს?

საკანონმდებლო აქტები ჩვეულებრივ დინჯად, მწყობრად და დარბაისლურად ამცნობენ ქვეყანას თავის დედა-აზრს და ეს სიდინჯე, დარბაისლობა ჭკუა-გარეცხილს ოპპორტუნისტებს მუდამ მმართველ წრეების გადაწყვეტილებათა სიმტკიცედ და გულწრფელობად ეჩვენებათ. ვიდრე ბურჟუაზიული წესი ცხოვრებისა თავის გამხრწნელ და გამრყვნელ გავლენას არ დაუმონავებდა მეცნიერებას, ვიდრე ადამიანის ცოდნა და სწავლა, შემოქმედებითი ნიჭი და შრომა საბაზრო ვაჭრობის უბრალო საგნად არ გადიქცეოდა, მმართველ წრეებს ხელთ არავითარი ფიზიკური საშუალება არა ჰქონდათ უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ წასულიყვნენ. უმრავლესობა ასეთს შემთხვევაში თავის ფიზიკურს ძალას უყენებდა წინ ხალხის უფლებათა უზურპატორებს და წინანდელს მთავრობას ადვილად აცლიდა ხელიდან მითვისებულს ბრძანებლობას. საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრების წესების ანუ რეჟიმის ამ გვარს შეცვლას, ფიზიკურის ძალის შემწეობით, ისტორია რევოლიუციის სახელით იცნობს.

მას შემდეგ, რაც მეცნიერებამ ბურჟუაზიულ მთავრობათა მოსამსახურეობა დაიწყო, გამოგონილ იქმნა აუარებელი და უზარმაზარი იარაღები ხალხის საჟლეტავად. ეს ძვირფასი და საზარო სამხედრო იარაღები, ტყვიის მტყორცნელები, მაღაზიებიანი თოფები, სხვა და სხვა სისტემის ზარბაზნები, ციხე-სიმაგრეები და სხვა, ყველაფერი მმართველ წრეების ხელშია მოქცეული და, ამიტომ, პირველის შეხედვით ხალხის დიდი უმრავლესობაც-კი სრულიად უძლურია წინააღმდეგობა გაუწიოს უზურპატორებს. 1848 წელს საფრანგეთში ოცი ათასს პარიზელ მუშას არ გაუჭირდა და პირქვე დაამხო ფიზიკურის ბრძოლით აბსოლიუტისმი, ეხლა ორასი ათას კაცსაც-კი არ შეუძლიან არა თუ დაამარცხოს, არ შეუძლიან ოდნავ მაინც თვალსაჩინო წინააღმდეგობა გაუწიოს მმართველ წრეებს. სარევოლიუციო ძალების ამ გარეგან სისუსტისა გამო, მმართველ წრეების ყოველი პროგრესსიული ნაბიჯი, თვით უარყოფაც-კი თავის წინანდელის ძირითადის საფუძვლებისა, ისე გამოიყურება, როგორც საყოველთაო კეთილ-დღეობისთვის მზრუნველობის რაიმე აქტი.

აი, ამ თვალით უყურებს ერთი ნაწილი გულ-უბრყვილო ლიბერალებისა იმ ძირითადს ცვლილებას, რომელსაც ამჟამად განიცდის რუსეთის სახელმწიფო. აქედან, ასეთის შეხედულებიდან წარმოსდგება ის ბავშვური განცვიფრება, რომელსაც ეს ლიბერალები აცხადებენ იმის გამო, რომ მებრძოლი მშრომელი ხალხი სიხარულით მაღლა-მაღლა არ დაიწყებს ხტუნაობას და ყველა კაკარდოსანს მადლობის ადრესებს არ მიართმევს.

ხალხი ძლიერია, დღნიერია, ყოვლის შემძლეა, მაგრამ სცდება, ვისაც ამ ძლიერების საფუძვლად ფიზიკური ძალა მიაჩნია; საერთაშორისო ომშიაც-კი ფიზიკურს ძალას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, იმაზე ღონიერი ზნეობრივი, მორალური ძალაა, და შინაურს, სამოქალაქო ბრძოლის ველზე ხომ ფიზიკურ ღონის როლი სულ მცირეა და უმნიშვნელო. სარევოლიუციო ტეხნიკამ მმართველ წრეების შეიარაღების შემდეგ ზარბაზნებით და ტყვიის-მყორცნელებით სრულიადაც ქედი არ მოიხარა ფიზიკურის ძალის წინაშე, პირიქით იმისი შემოქმედებითი ნიჭი უფრო ძლიერ, ვიდრე წინად, ამოძრავდა, და თუ წინად უზურპატორები მცირე ძალას ხალხის დიდს ძალას უპირისპირებდა, ეხლა იმათს უზარმაზარ სამხედრო ძალას გაუმკლავა ხალხის ზნეობრივი ძალა, საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა.

საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, რომლის მოსახდენადაც არც სამხედრო ძალაა საჭირო და არც ფიზიკური შეტაკება მმართველ წრეებთან, აზრის და მისწრაფებათა შეთანხმების ნიადაგზე იწყება, ამ ნიადაგშივე ჰპოვებს აღმზრდელს საკვებს და იმისგანვე ხდება მძლეთა-მძლე ძლიერებად. ბურჟუაზიულ ცხოვრების თანამედროვე პირობებში სარევოლიუციო მოქმედების მწვერვალი და ისტორიის ჩარხის დამატრიალებელი საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვაა. ჩვიდმეტ ოქტომბრამდე ეს შეხედულება სარევოლიუციო მოქმედების ტაქტიკაზე—მხოლოდ თეორიული გულისხმობა, მხოლოდ თეორიული ჰიპოთეზა იყო, ეხლა კი ეს ჰიპოთეზა გამართლებულია დიადის ისტორიულის მნიშვნელობის ფაქტით. თვალგადუწვდენელს, მრავალ-ტომიანს, გაუნათლებელს, ბნელს რუსეთში, რომლის მმართველი წრეებიც ევროპის თვალში მეტად ძლიერის, თითქმის უძლეველის სამხედრო ძალ-ღონით იყვნენ შეიარაღებული, ამ რუსეთში—რევოლიუცია ბევრს წინადვე დამარცხების წილხდომილად მიაჩნდა, მაგრამ ფაქტებმა სულ სხვა დაგვანახვეს.

დიაღ, თავისუფლება ნაბოძებად არ მიგვაჩნია, იგი ბრძოლით არის დაპყრობილი, ბრძოლით, რომელიც ნახევარ საუკუნის განმავლობაში სწარმოებდა, და რომლის მსხვერპლთა ძვლებისა და ჩონჩხებისაგან ერთი და ორი ციხე-სიმაგრე არ არის ავსილი ცივს და ჰაობიანს ციმბირში. რუსეთის ბიუროკრატიამ 1904 წლის მიწურულშივე იგრძნო სარევოლიუციო ენერგიის გამზადება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის, იგრძნო მოახლოვება საყოველთაო პოლიტიკურის გაფიცვისა და არ დაუტოვებია არც ერთი ხერხი, არც ერთი ქამანდი ისე, რომ მოწინააღმდეგის კისრის მოსატეხად არ ეხმარა, მაგრამ იმისი მეცადინეობა მუდამ ამაოდ რჩებოდა. თავადი სვიატოპოლკ-მირსკი პირველი მერცხალი იყო იმისი, რომ ბრძოლისთვის მოწინააღმდეგენი დაემზადდნენ და საკმაოდაც დაზვერეს ერთმანეთი. მირსკის დროშაზე ამოქარგული სიტყვა: „ნდობა"—პირველი ქამანდი იყო მმართველ წრეებისა საყოველთაო გაფიცვის წინააღმდეგ; ნდობის პოლიტიკის გამოცხადებით მმართველ წრეებს განზრახვა ჰქონდათ გაერღვიათ სარევოლიუციო ძალთა შემაერთებელი ჯაჭვი, გაეწყვიტათ ერთობა, ერთ-სულოვანება და სიტყვიერს ანკესზე აეგოთ რევოლიუციის ზღაპრული გიდრა. აღმოჩნდნენ კიდეც ოპპოზიციონურ რუსეთის წრეებში ისეთი გულუბრყვილო ელემენტები, ისეთი „უშიშარი რაინდები" ბრძოლისა, რომელთაც საჩქაროდ მორთეს ხმამაღლა ყვირილი შერიგებაზე, მმართველ წრეებთან კავშირის განახლებაზე და სარევოლიუციო ფარ-ხმალის დაყრაზე.

ამგვარად გაიწმინდა რუსეთის სარევოლიუციო ენერგია ლიბერალურ კონსერვატორთა ელემენტებისაგან და ამის შემდეგ უფრო მედგარი სახე, უფრო გაბედული გამომეტყველება მიიღო. თავ. მირსკის ცდამ ამაოდ ჩაიარა, იმისმა „ნდობის პოლიტიკამ" სარევოლიუციო ძალას უფრო მეტი

შესძინა, ვიდრე დააკლო. მმართველმა წრეებმა 12 დეკემბერს წინანდელისავე განზრახვით, გაეწყვიტათ საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვის ჯაჭვი, გამოაცხადეს ბრძანება სენატის სახელზე სარეფორმო პროგრამმის შინაარსით. ზომიერმა ლიბერალებმა ხელმეორედ შემოსძახეს, განახლება დაიწყოვო, და დაწყნარებას ურჩევდნენ ხალხს. 18 თებერვალს გამოაქვეყნეს თვითმპყრობელ ბიუროკრატიის განზრახვა სახელმწიფო სათათბიროს დაარსების შესახებ და ამ აქტით თვალებ-აბმული ლიბერალები მედგრად თხოულობდნენ დაწყნარებას, რადგან რუბიკონს უკვე გადასული ვართ და ეხლა კი „მყუდრო კულტურული“ მუშაობაა საჭიროვო. ექვს ივნისს ხელმწიფე იმპერატორს წარუდგნენ საეროზო და საქალაქო მოღვაწეთა წარმომადგენელნი, მოახსენეს რუსეთის განსაცდელი მდგომარეობა და პასუხად მიიღეს მტკიცე განმეორება 18 თებერვალს დაპირებულ რეფორმისა. ექვსს აგვისტოს გამოაცხადეს კანონი სახელმწიფო სათათბიროს შესახებ, 12 ოქტომბერს გამოაქვეყნეს კანონი კრებების შესახებ და ბოლოს 17 ოქტომბერს თავისუფლების მანიფესტი.

თითოეულს ზემოდ დასახელებულს აქტს ლიბერალები თავდავიწყებულის სიხარულით ეგებებოდნენ, როგორც ნაწყალობევს ბედნიერებას, მაგრამ სარევოლიუციო ენერგია მაინც არა სტყდებოდა, პირიქით, დღითიდღე უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ვიდრე იგი საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვის სახით არ მოევლინა ქვეყანას და არ გასტეხა რუსეთის თვითმპყრობელობა.

ცხადია, თავისუფლება ნაწყალობევი არ არის, იგი დაპყრობილია ბრძოლით, თუმცა ამ ბრძოლაში ხალხს იარაღი არ უხმარია. ძირითადი რეფორმა რუსეთის სახელმწიფოებრივს ცხოვრებაში ბრძოლით მოხდა, მაგრამ ეს ბრძოლა თავისებური იყო, წინანდელს სარევოლიუციო ომებს არა ჰგავანდა, და ეს თავისებურება გამარჯვების იარაღისა აუცილებლად ჰხდის ცხოვრების სხვა და სხვა მხარეში თავისუფლების პრინციპის გასატარებლად განსხვავებულის, თავისებურის მიმართულების საჭიროებას. მაგრამ ამის შესახებ შემდეგ. **გ. რ.**

რა მივიღეთ?

17 ოქტომბრის მანიფესტით გამოცხადებულია, რომ ამ დღიდან ეძლევა რუსეთს შეურყეველი საფუძველნი მოქალაქობრივ თავისუფლებისა: პიროვნების ხელშეუხებლობა, თავისუფლება სიტყვისა, კრებისა, კავშირისა, სინიდისისა. ოქროს სიტყვებია! ვის აღშფოთებულ გრძნობას არ გაანელებს და დაამშვიდებს? ვინ არ მიეგებება აღტაცებით დიდებულ მომენტს, რომლიდანაც უნდა დაიწყოს ახალი ცხოვრება დატანჯულმა რუსეთმა, ცხოვრება თავისუფალი, ადამიანური? არა მგონია, რომ მთელ რუსეთის სივრცეზე მოიძებნებოდეს ადამიანი, რომელსაც მანიფესტის სიტყვების კითხვის დროს არ ეგრძნო სიამოვნებით აღელვება. მაგრამ არა მგონია, რომ იმავ სივრცეზე მოიპოვებოდეს ისეთი კეთილ-გონიერი ადამიანი, რომელიც არ დაღვრემილიყოს, მწარე ფიქრებით არ მოცულიყოს მანიფესტის მთლად წაკითხვის შემდეგ.

რა მივიღეთ 17 ოქტომბრის მანიფესტით? მოგვეცა მართლა მოქალაქობრივ თავისუფლების შეურყეველნი საფუძველნი, თუ ჯადოსანივით შეცდომაში შეგვიყვანა და მოჩვენება სინამდვილედ დაგვანახვა?

გრაფი ვიტტე, რომელსაც, ეჭვი არ არის, სხვა ბიუროკრატებზე კარგად ესმის მნიშვნელობა თანამედროვე მოძრაობისა, ჰხედავს ისტორიულ მომენტის დიადობას გათვალისწინებული აქვს, რომ დადგა ის დრო, როცა რუსეთის სახელმწიფოს მუწუკი მომწიფდა და გაჭრა სჭირია. ვიტტემ კარგად იცის, რომ თუ დოსტაქრობა მთავრობამ სხვას დაუთმო, უეჭველია ეს მთავრობა ძალას უნდა გამოეთხოვოს, ავადმყოფ რუსეთს ჩამოეცალოს. ესმის ეს ვიტტეს, მაგრამ როგორც ბიუროკრატი, ვერ შესთანხმებია იმ აზრს, რომ სჯობია დოსტაქრობა სხვას დაეთმოს, და თვითონ იღებს სადოსტაქრო დანას და თვითონვე სჭრის მუწუკს, რათა ბალღამი მოაშოროს ავადმყოფს რუსეთს.

ასე ფიქრობს ვიტტე, მაგრამ იმის ბიუროკრატიულ გულშიაც-კი შეპარულა ეჭვი: შიშობს, ვაი თუ დოსტაქარს ხელი აუკანკალდეს და მუწუკი წესიერად ვერ გასჭრას და ბალღამი სრულიად ვერ მოაშოროს. მისი შიში იმით მტკიცდება, რომ ავალებს მთავრობას, ეხლანდელ მთავრობას, რომელმაც თვისი სრული უვარგისობა დაამტკიცა, ავალებს გულწრფელობას.

დიახ, მართალია გრაფი ვიტტე. გულწრფელობაა საჭირო და სწორედ ამ გულწრფელობას არა ვხედავთ 17 ოქტომბრის განცხადებაში. განა გულწრფელობა იმაში გამოიხატება, რომ უბრძანებ ხალხს: ამიერიდან იყავი თავისუფალიო? არა, მარტო ბრძანება არ არის საკმაო. საუკუნოებით შექმნილი პოლიციური წესწყობილება, ხორცსა და სისხლში, ძვალსა და რბილში გამჯდარი რწმენა, რომ მარტო ბიუროკრატიას შეუძლიან ხალხის მართვა, ვერ შეიცვლება ბრძანებით, ვერ დაირღვევა ლამაზის სიტყვებით.

მოიგონეთ სამოციან წლების დიადი რეფორმები, იმათაც ედოთ შეურყეველი საფუძველი, მაგრამ ისე მალე შეარყია მთავრობამ და ისე მალე გამოაცალა, რომ მშვენიერი სახლი, ლამაზ სიტყვებით აშენებული, ნაოხრად გადაიქცა.

მაშინდელ მთავრობასაც გულწრფელობა აკლდა. აკლია ეხლანდელსაც. განა შეიძლება დაიჯეროს კაცმა იმ მთავრობის გულწრფელობა, რომლისთვისაც კვირაში შვიდი პარასკევია. გაიხსენეთ 12 დეკემბრის მანიფესტი და 9 იანვრის საშინელი სისხლის ღვრა პეტერბურგის ქუჩებზედ; გაიხსენეთ 18 თებერვლის მანიფესტი და შეადარეთ 19 თებერვლისას. ვინ დაიჯერებს, რომ ორივე მანიფესტი ერთისა და იმავე პირისაგან, არ ვიტყვით შედგენილი, ხელმოწერილია. გაიხსენეთ 19 თებერვლის მანიფესტის შინაარსი და შეუფარდეთ იმ საშინელ მდგომარეობას, რომელშიაც ჩააყენა რუსეთი სამარ დროის წესმა, თითქმის ყოველ კუთხეში, გამოცხადებულმა, სადაც-კი ცხოვრების ძარღვი აჩქარებით სცემდა.

გაიხსენეთ ყველა ეს და თქვენც, როგორც ვიტტეს, რასაკვირველია, უფრო მეტად შეეპარებათ ეჭვი მთავრობის გულწრფელობაში. შეეპარებათ ეჭვი და თუ ცოტათი ჩაუკვირდებით მანიფესტს, ეჭვი რწმენად გადაგექცევათ. რა არის მოქალაქობრივი თავისუფლება? მოქალაქობრივი თავისუფლება ისეთი წესწყობილებაა, რომელიც უზრუნველჰყოფს სახელმწიფოს ყოველ წევრისათვის მოქალაქობრივ თავისუფლების ძირითადი პრინციპებს: პიროვნების და ბინის (მანიფესტში გამოტოვებულია) ხელშეუხებლობას, სიტყვის, მწერლობის, კრების, კავშირის და სინიდისის თავისუფლებას. მაშასადამე, მოქალაქობრივ თავისუფლების ძირითადი პრინციპები მხოლოდ მაშინ შეისხამენ სისხლ-ხორცს, მხოლოდ მაშინ გადიქცევიან სინამდვილედ, მხოლოდ მაშინ გახდებიან არა „ვაქსით დაწერილ სიტყვებად“, როგორც ვიღაც უცნობმა მახვილად სთქვა, როდესაც შეიქმნება, დამყარდება სათანადო წესწყობილება. 17 ოქტომბრის მანიფესტი კი სწორედ ამაზე არაფერს არ ამბობს. არა, ამბობს, მხოლოდ იმას კი არა, რომ დასახელებული პრინციპები უზრუნველ იქნებიან. მართლაც, მანიფესტი სცვლის რასმე ეხლანდელ რუსეთის წესწყობილებაში, რომელიც მოქალაქობრივ თავისუფლების უარმყოფელია, თუ არა? არა, არა სცვლის, სახელმწიფო სათათბირო რჩება ისევ ძველებურ ბიუროკრატიულ დაწესებულებად, როგორადაც იგი იყო შემუშავებული ნეტარ-ხსენებულ ბულიგინის კომისიის მიერ. უმთავრესი დამახასიათებელი თვისება სახელმწიფო სათათბიროსი—უფლება მთავრობას, თათბირი ხალხის ამორჩეულთ,—ძალაში რჩება 17 ოქტომბრის მანიფესტით. მაშ, რა გარანტია გვაქვს, რომ მოქალაქობრივი თავისუფლება განხორციელდება იმ მთავრობის ხელით, რომელიც სულით და გულით წინააღმდეგია ყოველგვარ თავისუფლებისა. რა გარანტიაა, რომ დღეს ნაბოძები თავისუფლება ხვალ არ წაგვერთმევა იმგვარისავე მანიფესტით? იქნება ახდილად არ წაგვერთვას, მაგრამ ხომ იცით „დროებით წესები“, ხომ გესმით შინაარსი „კანონიერ შეზღუდვისა“.

მთავრობა ეცდება არ დააყოვნოს და როცა გარემოება ხელს შეუწყობს შეაკვეცოს ფრთები თავისუფლებას. არ ვიცი, საჭიროა მტკიცება, თუ არა. მგონი, ბევრი დრო არ გასულა 17 ოქტომბრიდან, როცა „ახალი დიადი ხანა“ დადგა რუსეთის ცხოვრებაში, 26 ოქტომბრამდის და ერთი კვირის სინამდვილემ არა ერთი საბუთი წარმოგვიდგინა ჩვენის აზრის სიმართლისა. ვისაც აქვს თვალნი ხედვად, დაინახავდნენ!

„Timeo danaos et dona ferentes“. გულწრფელობა სიტყვით არ არის მაჩვენებელი ნამდვილ გულწრფელობისა. „საქმითა მათითა იცნობთ მათ“. საქმე-კი სხვას ღაღადებს. დასკვნა ერთია ჩვენის მსჯელობისა: ეხლანდელ მთავრობას არ შეუძლიან განახორციელოს მოქალაქობრივი თავისუფლება; ამისათვის საჭიროა ახალი ორგანო. სახელი მისი დამფუძნებელი კრებაა, მოწვეული საყოველთაო, თანასწორ, ფარულ და პირდაპირ კენჭის ყრით რუსეთის კონსტიტუციის ძირითად დებულებათა შესამუშავებლად. **ჩ.**

მოქმედება მომავალში

—

ერთმა ისტორიკოსმა სთქვა: ეხლა სამხედრო ტექნიკა რქამდის განვითარდა, რომ ისეთი არეულობა სახელმწიფოში, როგორიც უწინ იყო ხოლმე, შეუძლებელიაო. მართლაც და თუ საშუალო საუკუნის ისტორიას მოვიგონებთ, დავინახავთ, რომ ყოველი უბრალო შემთხვევა დიდ სისხლის ღვრას იწვევდა ხოლმე. საკმაო იყო, რომელსამე წარჩინებულ პირს ან და არ წარჩინებულს, მაგრამ კარგ დემაგოგს მოესურვებინა რამე ცვლილების მოხდენა, რომ დიდი არეულობა აეტეხნა. ამისთვის საჭირო იყო, რომ ასეთ პირს თანამოაზრეთა რაიმე ჯგუფი ჰყოლოდა. ასეთი იყო მუდმივი ომები პროვინციებს შორის იტალიაში. ასეთივე იყო საფრანგეთში ინგლისთან იმის დროს მეფის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა.

ეხლა, როდესაც ყოველ განათლებულ სახელმწიფოში კანონმა ფეხი მოიკიდა, ეს, რასაკვირველია, შეუძლებელია. გასაკვირველი ეს კი არა, ის არის, რომ ისეთ სახელმწიფოებშიც-კი, სადაც კანონი ჯერ მხოლოდ ლიტონი სიტყვაა და სადაც კახონის მაგიერად ხსვა და სხვა პატივის და დიდების მოყვარეთა სურვილი მოქმედობს, იქაც კი ამ გვარი არევ-დარეულობა უბრალო მიზეზით და თუნდა ბრალიანითაც თითქმის შეუძლებელია. მიზეზი ამისა სწორედ სამარ ტეხნიკის განვითარებაა. ხალხს რაც უნდა დიდი ძალა ჰქონდეს, რაც უნდა ძალიანაც შეიარაღდეს, მაინც ისე შეიარაღებას ვერ მოახერხებს, რომ ეხლანდელ გაწვრთნილ ჯარს გაუწიოს წინააღმდეგობა. თუ წინად პატარა ჯგუფსაც კი შეეძლო არეულობის მოხდენა, ეხლა ხალხის ძლიერი უმეტესობაც კი ვერაფერს ხდება, რადგან ერთი პატარა რაზმი უთვალავ ბრბოს ადვილად გაჰფანტავს თავის სამარ ტეხნიკის და დისციპლინის მეოხებით. მაგრამ თუ წინად ხალხი მუდამ არეულობის შიშში იყო, ეხლა სულ სხვა გვარი შიში იბადება. შეიძლება ასეთმა ძალთა დამოკიდებულებამ ხალხი ერთ წერტილზედ გააჩეროს და წარმატების გზა სრულიად მოუსპოს, რადგან—ყველამ კარგად იცის—ჯარი ყოველთვის კონსერვატიულ ელემენტს წარმოადგენს.

ეს ასეც იქნებოდა, რომ თანამედროვე სახელმწიფოში ახალი ძალა არ გამოჩენილიყო. ეს ძალა არ არის მატერიალური ძალა, მაგრამ სიძლიერით კი მატერიალურ ძალას არ ჩამორჩება. ეს არის ძალა საზოგადოების აზრისა. ამ ძალას ჩვენში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: ყველამ კარგად იცის, რომ რუსეთის სახელმწიფო დიდი ხანია მომზადებულია სულ ცოტა ისეთ წეს-წყობილებისათვის მაინც, როგორიც ეხლა გერმანიაშია. დასამტკიცებლად კმარა განმათავისუფლებელი ცდა თუნდა მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. სპერანსკის, ვალუევის და ლორის-მელიქოვის პროექტმა მხოლოდ ერთ წუთს მიაშუქეს საზოგადოებას, რომ მერე ისევ ბნელი უკუნეთი გამეფებულიყო.

ამისი მიზეზი სწორედ ის არის, რაც ზემოდა ვთქვით: ერთის მხრივ სამარ ტეხნიკის განვითარება და მეორე მხრივ საზოგადოებრივ აზრის ძლიერება. მართალია, საზოგადოების აზრი მაშინ უკვე იბადებოდა, მაგრამ იგი იქამდის ძლიერი არ იყო ჯერ, რომ ამ შემთხვევაში მატერიალურ ძალის მაგიერობა გაეწია.

სამაგიეროდ ეხლახან სხვას ვხედავთ. საზოგადოებრივ აზრის წინ, „ნ. ძ.“ სიტყვით, თავს იხრის ფიზიკურის ძალით ძლიერი ბიუროკრატია. პოზიციას პოზიციაზე უთმობს იგი საზოგადოებას. აქ საზოგადოებრივი აზრი ორგვარია: ერთი შინაგანი, თვით რუსეთის საზოგადოებისა და მეორე გარეგანი, ევროპის სახელმწიფოთა ევროპაში რომ ეხლა იმგვარივე წესწყობილება იყოს, როგორიც რუსეთში 17 ოქტომბრამდე იყო, უეჭველია, ბიუროკრატია ჯერ კიდევ მაგრა იდგებოდა ფეხზე. თუ რამდენად საყურადღებოა რუსეთის მთავრობისათვის ევროპის მაგალითი, თვით გრაფ ვიტტეს მოხსენებიდანაცა სჩანს. იგი ამბობს, რომ რუსეთის საზოგადოებას უნდა მიენიჭოს ყოველივე ის, რაცა აქვს ევროპის ყოველ კულტურულ ხალხსაო. ესე იგი იმაზე მეტს ნურას მოითხოვთ რაც, ევროპაშიაო. აი რა ძალა აქვს ეხლა საზოგადოებრივ აზრს.

საკმაოდ დიდია ეხლა ეს ძალა თუ არა? შეიძლებს თუ არა იგი ბოლომდის მოყვანას დაწყებულ განმათავისუფლებელ საქმისას? აი საკითხი, რომელსაც ეხლა მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ზოგს ჰგონია, რომ ეხლანდელი რევოლუციონური მოძრაობა რომ გათავდება, ძველებურად მოვისვენებთო. ბევრი ნატრობს კიდეც, ჩქარა დადგეს ეს მოსვენების ხანა. არა, ჩვენ მაგას ნუ ვინდომებთ. თუ უწინდებურ მოსვენების ხანა დადგება, მაშინ ჩვენ დავკარგავთ ყოველსავე იმასაც კი, რაც მივიღეთ, არა თუ ახალს ვერ მივიღებთ. რევოლიუციის ხანა სწორედ იმიტომ დგება ხოლმე, რომ საზოგადოების აზრი იზრდება და ვეღარ ეტევა წინანდელ რეჟიმის ქერქში. ეს ზრდა არ არის მხოლოდ დროებითი აფეთქება. ეს არის ზრდა ორგანიული, სამუდამო. რუსეთის საზოგადოება რაკი ერთხელ და ერთხელ გაიზრდება, ვეღარ შეიკუმშება და ვეღარ დაეტევა წინანდელ ფარგალში. ნუ ვიფიქრებთ ამ ერთად-ერთ იარაღის დაყრას. უნდა ვიფხიზლოთ, დადგა სიფხიზლის დრო, გათავდა საუკუნო ძილი. დღეს ჩვენ აღარ ვართ კერძო მცხოვრებნი, დღეს ჩვენ მოქალაქენი, სრულ უფლებიანი მამულიშვილნი ვართ. დღეს უფლება გვაქვს მოხელეებს ანგარიში მოვთხოვოთ ჩვენის წარმომადგენელთა პირით და, თუ ისევ დასვენებაზე ვიფიქრეთ და ძილს მივეცით თავი, ცუდად წავა საქმე: რაც მივიღეთ, იმასაც წაგვართმევენ; ჩვენ-კი ახალ უფლებების მოპოვებაზე უნდა ვფიქრობდეთ. **გ. ნ.**

ტფილისის ამბები

გუშინ აღვნიშნეთ 22 ოქტომბერს გოლოვინის პროსპექტსა, სობრანიასა, „ლისტოკის“ რედაქციასა და 1 გიმნაზიის სადგომში ზოგიერთ დახოცილთა გვარები. ამათგან ხუთი გიმნაზიელია, ერთი მოსწავლე მესამე გიმნაზიისა და სამი პირველ გიმნაზიისა. პირველ გიმნაზიის კორიდორში მოჰკლეს მელიქ-ალახვერდოვი, ცირიულნიკოვი და აზარაპეტოვი. გიმნაზიის დირექტორს ბ-ნ გამყრელიძეს, რაკი დაუნახავს, რომ საშველი არსაით იყო, თავის ბინიდან, სადაც ზოგიერთი მოსწავლენი შეკრებილიყვნენ, ერთი გაუგზავნია სხვა მოსწავლეთა დასაბარებლად. ამ დროს გარედან უკვე შეუმტვრევიათ ეზოს კარები და შესულან. ამ დროს შეუნიშნავთ დირექტორის ოთახიდან გამომავალი 17 წლის მოსწავლე, დაუციათ თოფი და სასიკვდილოდ დაუჭრიათ. მეტად შემზარავს სურათს წარმოადგენს, მნახველთა გადმოცემით, მკვლელობა მოსამზადებელ კლასის მოსწავლის პატარა ცირიულნიკოვისა. ყმაწვილი ზემო სართულში ყოფილა იმ დროს, როცა გარეშემო სროლა ატეხილა. გულგახეთქილი, თმა გაწეწილი, თითქმის გაგიჟებული გაქცეულა ეზოსაკენ დასამალავად. როდესაც კიბეზე ჩასულა, შეუნიშნავს, რომ გარედან ეზოში უკვე შევარდნილიყვნენ, და ბავშს გასაქცევი გზა აღარა ჰქონია. საბრალოს იქვე კიბის გვერდით პატარა ფარდულში თავი შეუფარებია. მაგრამ შესულნი იერიშით მიდიოდნენ. პირველად ამ კუთხეებში დაუწყიათ ძებნა. პატარა ცირიულნიკოვს მოურთავს ტირილი, ნუ მომკლავთ, მე არაფერი დამიშავებიაო, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

ძნელია გადმოცემა იმ გულის შემზარავ სცენისა, რომელიც მოხდა მიხეილის საავადმყოფოს ეზოში კვირას, 23 ოქტომბერს, დილით. მრავალი ხალხი მიაწყდა ეზოს. ზოგი ქმარს ეძებდა, ზოგი შვილს, ზოგი—ცოლს, ზოგი—მეგობარს. დილის 8 საათიდანვე მთელი ეზო ტირილმა და ქვითინმა მოიცვა. ეზოსა და სამკურნალოს სარდაფში 38 კაცის გვამი იყო. ზოგს წვლები ჰქონდა გადმოყრილი, ზოგს ტვინი გადმოსხმული, ზოგს თავი გაჩეხილი ხმლით, ზოგი რამდენისამე ტყვიით იყო განგმირული. დახოცილებს ფასიანი ზედ აღარაფერი ჰქონდათ: არც საათები, არც ფული და არც სხვა რამე. ზოგს ჯიბეები გადმობრუნებული ჰქონდა.

უარესი სურათი გადაეშალათ მნახველთ საავადმყოფოში, სადაც ტყვიით და სხვა იარაღით დაჭრილ-დასახიჩრებული ხალხი გმინავდა. ზოგი დაჭრილი უგრძნობლად იყო და სულს ებრძოდა. დაჭრილი საავადმყოფოში 66-ია. ბევრი სასიკვდილოდ არის დაჭრილი. მიხეილის სამკურნალოში შემდეგი დაჭრილები მიიყვანეს: აზარპეტოვი მელკონი, გიმნაზიელი, რომელიც უკვე გადაიცვალა, აზარაპეტოვი ვლადიმერი (გიმნაზიელი), არეშიშვილი ვლადიმერი გიმნაზიელი), მელიქ ნუბაროვი (გიმნაზიელი), რუსსო ვალერიანი (გიმნაზიელი), ოგანოვი (გიმნაზიელი), უკვე გარდაიცვალა, ბუღნიკი (გიმნაზიელი): ჯავრიშვილი (სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოსწავლე), კონსტანტინე ყორღანოვი (რეალურ სასწავლებლის მოსწავლე), აკინფიევისა ვერა (მასწავლებელი), ბელიანი რაფაელ გეორგიზონი დავით გორეცელოვი ისააკ (ბუხჰალტერი), გულაბაშვილი გიორგი, დურგლიშვილი ივანე, ელმუტი ჰენრიხი, ევტეევი ედუარდი, ისაკაძე ალექსანდრე, კარენინი გაბრიელი, კენქიაშვილი ლევანი, კუბიცკაიასი მარიამ, მელაძე სიკო, ნალბანდიანი ამაიკი, ნუკრაძე გიორგი, ნაზარბეკოვი ოვაკიმ (გიმნაზიელი) ნერსესოვი ნიკოლოზ, ოგანოვი ბუღდან (გიმნაზიელი), ოგანეზოვი არტაშეს, გოლომთიევისა, პილიუკი ვასილ (ყაზახი), პოპოვი პროხორი (გოროდოვოი), პისკოს ნაზარ (მემანქანე) სტუპკოვი ივანე (გოროდოვოი), (სინიცინი ვლადიმერ (უბნის ზედამხედველი), სოტნიკოვი ანდრეი, სლავინ ნიკოლოზ (არტისტი), სერებრიაკოვი ვასილი, სულხანოვი ივანე, ხანგულოვი თომა, ხობლუკი პელაგია, შაპტინიონც ოჰანეზ (სასულიერო სემინარიის მოსწავლე), შიხანოვი ალექსანდრე (მოსწავლე საკომერციო სასწავლებლისა), შენნიკოვი ანასტასია, ფეოდოროვი იაგორ (გოროდოვოი, მოკვდა), ბუდაღოვი მინას, ავლაბარში დაჭრილნი აბაშვილები: გრიგოლ ალექსანდრე (სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლე) და იოსებ.

საავადმყოფოში შემდეგი დაჭრლნი გადაიცვალნენ: ოლიმპუსკი, ალ. შახალოვი, ან. მელნიკოვისა, ე. თეოდოროვი, მ. ბუდაგოვი, მ. ქუხიევი, რ. ბელიანი და გ. გულბაშვილი.

მსუბუქად დაჭრილნი, 22 კაცი, გარედან დაიარებიან საავადმყოფოში.

ეროვნული

22 ოქტომბერს, ტფილისელთათვის ამ ჯოჯოხეთურ დღეს, გოლოვინის პროსპექტზე არა ნაკლები უბედურება დატრიალდა ავლაბარში. ბეგლაროვის ქუჩაზე ტფილისისა და დრაგუნთა პოლკების პატრულები დაიარებოდნენ. საიდანღაც რევოლვერი გავარდა. იმის შესახებ, რაც შემდეგ მოხდა, თვით დაჭრილებმა გრიგოლ, იოსებ და ალექსანდრე აბაშვილებმა გადმოგვცეს. გრიგოლ აბაშვილს, ქართლელს, სამანუფაქტურო მაღაზია ჰქონია მე-5 საპოლიციო ნაწილში. თავის ბინაზე აბაშვილს ჰყოლია ძმის წულები ალექსანდრე (მოსწავლე, 17 წლისა) და იოსები (34 წლისა). როდესაც ტყვია გავარდა,—სთქვეს გრიგოლმა და იოსებმა,—ჩვენ აივნიდან ქუჩისაკენ გავიქეცით. შევნიშნეთ, რომ ჯარი სასროლად მოემზადა. უბნის ზედამხედველმა და აფიცრებმა მოაშურეს ჩვენსკენ და დაუწყეს ჩვენ სახლს სროლა, თუმცა ჩვენის სახლიდან არავის არ გაუსროლია რევოლვერი და არც რაიმე იარაღი გვქონიაო. გრიგოლს და იმის მეუღლეს მარიამს მოუსწრიათ პატარა ბავშვების—ვახტანგისა (4 წლისა), ირაკლის (3 წლისა), სონას (11 წლისა, 1 გიმნაზიის მოსწავლე) წაყვანა. ესენი ძმის-წულებს იოსებსა და ალექსანდრესთან ერთად შეცვივნულან მეზობლად მდგომ ერთ სომხის სახლში. ჯარს ჯერ სროლა აუტეხია, შემდეგ შეუმტვრევიათ აბაშვილის ბინის შესავალი კარები. რაკი იქ არავინ დახვედრიათ, მეზობლად მდგომ სომხის ბინისათვის დაუშენიათ თოფები. ამ ბინის პატრონი სალდათი ყოფილა, გაუღია კარები და დაუძახნია, ნუ მომკლავთ, მე სალდათი ვარ და დროებით სამსახურიდან განთავისუფლებულიო. მაგრამ მაინც უსროლიათ და მსუბუქად დაუჭრიათ იგი. შემდეგ, როცა ბილეთი უჩვენებია, იგი გადურჩენიათ, მაგრამ სროლა მაინც განუგრძვიათ. თავ განწირულს დედას კალთას ქვეშ ამოუფარებია ვახტანგი და ირაკლი და საშინელის წივილ-კივილით მიუმართავს—ნუ დაგვხოცავთ, არაფერი ბრალი არ მიგვიძღვისო. ტყვია მოჰხვედრია მარიამს და პაწაწა ბავშვების წინ მკვდარი დაცემულა; 11 წლის ქალი სონა დაუჭრიათ ხელში, ხოლო ვახტანგი და ირაკლი რაღაც სასწაულით გადარჩენილან. მამას ბავშვებისასას გრიგოლს ვეღარა გაუწყვიარა. იმ დროს, როცა იგი ევედრებოდა, ბავშვებს ნუ დამიხოცავთო, რამდენჯერმე ტყვია მოხვედრია და ცოცხალ მკვდარი კედელს მიჰყრდნობია. ბავშვები სამხედრო საავადმყოფოში გაუგზავნიათ. როცა შიგნით შესულან, დრაგუნებს შეუნიშნავთ შკაფს უკან სამგან ტყვიით დაჭრილი იოსები. ერთს დრაგუნს დაჭრილისთვის ხმალი დაუკრავს კისერში და მძიმედ დაუჭრია. შემდეგ თავი გაუნებებიათ. ასევე დაუჭრიათ ხმლით ტყვიით უკვე დაჭრილი გრიგოლი. როგორც აბაშვილები ამბობენ, იმათის სახლიდან ფულად წაუღიათ 270 მან., აღარსად სჩანს სამი ვერცხლის და ქალის ერთი ოქროს საათი და აგრეთვე სხვა ნივთები. დაჭრილები და მოკლული ქალი მარიამი მიხეილის საავადმყოფოში წაუყვანიათ.

—

23 ოქტომბერს ტფილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია დაათვალიერა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ზავადსკიმ, რომელსაც თან ახლდა დირექტორი გიმნაზიისა ბ-ნი გამყრელიძე, ინსპექტორი და რამდენიმე მასწავლებელი. პირველად მზრუნველმა დაათვალიერა პანსიონერთა საწოლი. იქ ყველაფერი აწეწილ-დაწეწილი იყო. ქვეშსაგებები გადაყრილ-გადმოყრილი, კროვატები გადაბრუნებული, კედლები დახვრეტილი, ჭერი ტყვიისაგან დაფლეთილი და დიდი ფანჯრები ჩამტვრეული. ამ დარბაზისაკენ, როგორც ეტყობა, კარგა ხანს ყოფილა მიმართული სროლა. შუა დარბაზამდე რომ მივიდნენ, გრძნობამ დასძლიათ და ქვითინი გაისმა. ზავადსკიმ თავი ვეღარ შეიკავა და გულწასული გამოვიდა ისევ გიმნაზიის ფოიეში, სადაც წყლით მოიბრუნა გული. შემდეგ შევიდნენ დირექტორის კაბინეტში. აქ უფრო საშინელი სურათი დაჰხვდათ. არა სჯეროდათ, თუ ყოველსავე ამას ადამიანის ხელი ჩაიდენდა. მაგიდები და შკაფები გადმოფორიაქებული, წიგნები, ქაღალდები და სხვა ნივთები სულ აწეწილ-დაწეწილი იყო. როგორც ეტყობა, დირექტორის კაბინეტში უძებნიათ ყუმბარები, რევოლვერები და სხვა იარაღი. ამავე მიზნით არის გადმოფორიაქებული ყველა სხვა ოთახი. გადარჩენილა მხოლოდ სამკითხველო ოთახი. გიმნაზიის ეკლესიის კედლებიც დახვრეტილია ტყვიით. სამასწავლებლო დარბაზი გიმნაზიისა მინგრეულ-მონგრეულია; ფანჯრებსა, ჭერსა და კედლებში ასამდე ტყვიაა მოხვედრილი. ირგვლივ მთელი შენობა გიმნაზიისა დახვრეტილია. შიგ სადგომში ჩადგა ტფილისის პოლკი. ასევე ჩამტვრეულია ფანჯრები და კარებები და ყველაფერი მინგრეულ-მონგრეულია მუხრანსკისეულ მანთაშევის სახლში, „ტფ. ლისტოკის“ რედაქცია-

სა და ზუბალაშვილის სახლში. სობრანიე და მუხრანის ნომრები დააცლევინეს და შიგ ელისავეტპოლის პოლკის ჯარი ჩააყენეს. ჯარი ჩააყენეს აგრეთვე „ლისტოკის" რედაქციაშიც, ხოლო რედაქცია სხვაგან გადავიდა. გაზეთ „ვოზროჟდენიე"-ში მომწყვდეული 60 კაცი გაადარჩინა თვით რედაქტორმა პ. თუმანიშვილმა (სათადარიგო აფიცერმა), რომელმაც აფიცერი გაჰგზავნა რედაქციაში და გააყვანინა ყველანი თუ არა რედაქციიდან, იქაც შეცვივნულან და მიულეწ-მოულეწიათ იქაურობა. მთელი ექვსი ოთახი, რომელთა მოწყობა კარგა ძვირად დაუჯდა „ვოზროჟდენიეს" რედაქციას, მიფორიაქებულ-მოფორიაქებულია. გასტეხეს კასა და წაიღეს ფულად 32 მან., სარედაქციო შტემპელი, ფოსტის ქაღალდი და სხვა. ჯარი ჩააყენეს აგრეთვე სათავად-აზნაურო კერძო გიმნაზიის სადგომში.

მიტინგები ტფილისში

როგორც ვწერდით, 18 ოქტომბრიდან დაწყებული მიტინგები ჟოველდღე იმართებოდა ტფილისის სხვა და სხვა ადგილას. პირველ დღეს მანიფესტის გამოცხადებისას აუარებელი ხალხი შეგროვდა გოლოვინის პროსპექტზე. ორმა-სამმა ორატორმა განმარტა მანიფესტის მნიშვნელობა. ბოლოს აქეთ-იქიდან გაისმა ხმა: წავიდეთ დიდუბესა და ნაძალადევში და მუშებს მივულოცოთ კონსტიტუციაო. რამდენიმე ათასი კაცი და ქალი, ბერჟუა და მუშა, ინტელიგენტი და ხელოსანი დაიძრა და ვერის ხიდით გაემართა დიდუბისაკენ. გზაში პროცესსიას თანდათან ახალი ჯგუფები ემატებოდა; გაჩნდა რამდენიმე წითელი დროშა; გაისმა „მარსელიეზა"-ს და სხვა სარევოლიუციო სიმღერების ხმა. სახლებიდან პროცესსიას „ვაშა"-ს, „ურა"-ს და „ბეეე"-ს ყვირილით ეგებებოდნენ, წითელ დროშის წინ ქუდს იხდიდნენ. დიდუბისა და ნაძალადევის მოედნებზე მანიფესტანტებს მიეგებნენ მუშებიც და გაიმართა საერთო მიტინგები. ორატორების სიტყვებს რუსულს, ქართულს და სომხურს ენებზე ყველანი სულ განაბული უსმენდნენ. ამ პირველ მიტინგებსვე დაეტყო, რომ მთავარ როლს უკიდურესი პარტიები იჭერენ, რომელთა ორატორები ამბობდნენ, პირველ გამარჯვებაზე არ უნდა შევჩერდეთ, ბრძოლა უნდა გავგრძელდეს, სანამ დამფუძნებელი კრება არ იქნება ხალხისაგან მოწვეული და სანამ ეს კრება არ უზრუნველჰყოფს ნამდვილ მოქალაქობრივ წესრიგსა და თავისუფლებას. პირველი დღის მიტინგი დასრულდა რეზოლიუციით, გაფიცვა გაგრძელდეს კიდევ რამდენსამე დღესაო.

მეორე დღეს გოლოვინის პროსპექტზე რამდენიმე მიტინგი მოხდა. ამ მიტინგებს უკვე ორგანიზაციის ხელი ეტყობოდა: ადვილად გაირჩეოდა პარტიების მიტინგები, თუმცა ჯერ კიდევ ხალხი არეული იყო და ორატორები საზოგადო ხასიათის სიტყვებს ამბობდნენ. ნაშუადღევის მე-4 საათზე-კი ყველა მიტინგები შეერთდა; აირჩიეს წარმომადგენლები და ნამესტნიკთან გაგზავნეს შემდეგ მოთხოვნათა წარსადგენად: 1. მოისპოს სამხედრო წესები, 2. სოფლებს აეხადოს ეგზეკუციები, 3. განთავისუფლებულ იქმნან პოლიტიკური დამნაშავენი და 4. სამართალში იქმნან მიცემულნი 29 აგვისტოს სისხლის ღვრის მომხდენელნი. ნამესტნიკის პასუხი უკვე იციან მკითხველებმა.

მესამე და შემდეგ დღეებში მიტინგებმა მტკიცე პარტიული ხასიათი მიიღეს. სოციალ-დემოკრატთა მიტინგები იმართებოდა ნაძალადევს, სოც.-რევოლიუციონერთა, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა და სომეხთა სარევ. პარტიის „დაშნაკცუტუნის" გოლოვინის პროსპექტსა და ავლაბარში. 21 ოქტომბერს გოლოვინის პროსპექტზე გაიმართა ორი დიდი მიტინგი: 1. რუსეთის სოც. რევოლიუციონერთა და 2. ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა. ორთავე მიტინგზე დაადგინეს წასულიყვნენ მეტეხის ციხესთან, იქ სიტყვები წარმოეთქვათ და ავლაბარში შეერთებულიყვნენ სომხების დროშაკისტებთან. აუარებელი ხალხი წითელის დროშებით და მუსიკით, რომელიც მარსელიეზას უკრავდა, გაემართა მეტეხსა და ავლაბრისაკენ. კახეთის მოედანზე შეერთდა სამივე პარტიის მიტინგი, რომელმაც შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: შეერთებული მიტინგი სოც.-რევოლიუციონერებისა, ქართველ სოც.-ფედერალისტებისა და სომეხთა სარევ. პარტიის „დაშნაკციუტუნისა" მოითხოვს სამხედრო და გაძლიერებულ დაცვის წესების გაუქმებას, სრულ ამნისტიას პოლიტიკურ რწმენისათვის დასჯილთა, სოფლებში ეგზეკუციების მოსპობას, სახალხო მილიციის დაწესებას და დაუყოვნებლივ მოწვევას სრულიად რუსეთის დამფუძნებელის კრებისა და აგრეთვე დამფუძნებელ კრებებისა განაპირა ქვეყნებისათვის, მათ შორის კავკასიისათვისაც. ამავე დღეს მრავალ-რიცხოვანი მიტინგი გაიმართა ნაძალადევში; სოც.-დემოკრატიის პარტიამ თავის მხრით გამოიტანა რეზოლიუცია რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევის შესახებ.

21 ოქტომბერსვე სოც.-რევოლიუციონერთა, ქართველ სოც.-ფედერალისტთა და სომხების „დროშაკ"-ისტების საერთო პროკლამაცია იწვევდა ყველა სარევოლიუციო და სოციალისტურ პარტიებს — შეერთებულიყვნენ ამ სარევოლიუციო ჟამს, მოპოვებულ უფლებათა დასაცველად და სრულის თავისუფლების დასამყარებლად. თანახმად ასეთის დადგენილებისა მეორე დღეს, 22 ოქტომბერს, სოც.-რევოლიუციონერებმა, ქართ. სოც.-ფედერალისტებმა და სომხების დროშაკისტებმა თავიანთი მიტინგები ნაძალადევს გადაიტანეს, სადაც სოც.-დემოკრატებთან საერთო მიტინგი მოხდა. აქაც წარმოითქვა სიტყვები შეერთებულ მოქმედების შესახებ. ორატორები ამ დღესაც იმ აზრს ჰქადაგებდნენ, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი არ უზრუნველჰყოფს ხალხის თავისუფლებას; საჭიროა გაუქმდეს სამხედრო და გაძლიერებულ დაცვის წესები, მოისპოს ეგზეკუციები სოფლად და მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება თანახმად საყოველთაო, ფარულის, პირდაპირის და თანასწორის საარჩევნო უფლებისაო.

ახალი ამბავი

◆ **ხაშურიდან ბათუმამდის** თითქმის მთელი ლიანდაგი ანგრეულია. როგორც ამბობენ, შვიდი რკინის გზის ხიდი წამხდარი, არც ტელეგრაფი მუშაობს, სულ გადაჭრილია მავთულები და სატელეგრაფო ბოძები ამოყრილია. მთლად მოწყვეტილია ბათუმი, ქუთაისი, შორაპანი, სამტრედია, ფოთი და სხვა სადგურები. კაცმა არ იცის, რა ხდება ამ ადგილებში.

◆ როგორც ნამდვილად გავიგეთ, ქუთაისის გუბერნატორს **სტაროსელსკის** მთავრობისთვის ქაღალდი წარუდგენია და გადამდგარა კიდეც სამსახურიდან. სტაროსელსკის ნაცვლად ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად ინიშნება გენერალი ალიხანოვ-ავარსკი. ამასთან მეტ ჯარსაც ჰგზავნიან ქუთაისში.

◆ 24 ოქტომბერს დაიწყო ტფილისში მუშაობა, გაიღო დუქან-მაღაზიები, მაგრამ ქალაქში რაღაც ხმები გავრცელდა და ყველანი შიშით აქეთ-იქით იყურებოდა. ასეთი ამბავი გამოიწვია ხულიგანების პროპაგანდამ. ბაქოდანაც ცუდი ხმები მოვიდა და ამან უფრო თავზარი დასცა ხალხს. სოლოლაკში მცხოვრები სომხობა სახლობებით გადაიხიზნენ კუკიაში. საღამოს 5 საათზე ხელად დუქნები დაკეტეს. სომხობა შეიკრიბა საეპარქიო უფროსთან და იქ თათბირი ჰქონდა თუ რა იღონონ შესაძლებელ უბედურების თავიდან ასაცდენად. კრებამ დეპუტაცია გაგზავნა ნამესტნიკთან და სთხოვა ჯარი ჩააყენოს ზოგიერთ ადგილებში. მართლაც საღამოს 8 საათიდან სოლოლაკში, ვანქის ქუჩაზე და სხვაგან ჯარი ჩააყენეს. რაკი შეღამდა, ქუჩაში ერთი კაციც არ გასულა.

◆ ქალაქში ხმა დადის, რომ ტფილისის **გენერალ-გუბერნატორი ჟილიაი** თავს ანებებს თანამდებობასაო. იმის ადგილას გენერალ-გუბერნატორად ინიშნება კავკასიის სამხედრო შტაბის უფროსი გრიაზნოვი.

◆ რუსეთსავით **პატრიოტული პარტიები კავკასიის** თითქმის ყველა დიდ ქალაქებში გაჩნდნენ: ტფილისსა, ბაქოსა, კავკავსა, ეკატერინოდარსა და სხვაგან. ყველგან შეტაკება მოხდა და დიდ-ძალი სისხლი დაიღვარა. ბაქოში სახლები გადასწვეს და აუარებელი ხალხი დახოცეს და დასჭრეს. ეს პარტიები ყველგან პატრიოტულ მანიფესტაციებს მართავენ. დაწვრილებით ცნობები, სად რამდენი დაიხოცა, ჯერ არ მოსულა.

◆ როგორც ქალაქში ხმა დადის, კავკასიის სამასწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით, დროებით **დაიკეტა ამიერკავკასიის ყველა სასწავლებელი**. მზრუნველს კავკასიის ნამესტნიკისთვის ოფიციალური მოხსენება წარუდგენია. მზრუნველი სწერს თურმე, ვიდრე არ გაუქმდება საომარ დროის წესები და სოფლებში ეგზეკუციები არ მოიხსნება, შეუძლებლად მიმაჩნია სკოლებში სწავლის განგრძობაო.

◆ 22 ოქტომბერს ვაჟთა მეორე გიმნაზიაში მოხდა დიდი **კრება ტფილისის სასწავლებლების პედაგოგებისა**. კრებას დაესწრო 800-მდე კაცი. წარმოითქვა სიტყვები. შემდეგ კრებამ საჭიროდ სცნო შეადგინოს პედაგოგთა კავშირი. ბოლოს კრებამ შეიმუშავა რეზოლიუცია და გაემართა ნამესტნიკთან ამ რეზოლიუციის წარსადგენად. კრებას უნდოდა მოეთხოვა საომარ დროის და გაძლიერებულ დაცვის წესების გაუქმება და სოფლებიდან ეკზეკუციების გამოყვანა. როდესაც პედაგოგთა კრებული მიუახლოვდა სახაზინო თეატრს, ასტყდა მაშინ პატრიოტულ პარტიის მიერ გამოწვეული სროლა და ყველანი დაიშალნენ. მეორე დღეს გამოირკვა, რა საშინელება მიაყენეს ვაჟთა პირველს გიმნაზიას და პედაგოგები ხელ-ახლა შეიკრიბნენ. გამოსთქვეს დიდი მწუხარება და აღშფოთება ამ არა ადამიანურ საქციელის გამო და რეზოლიუციის დასამატებლად დაადგინეს, მოითხოვონ სასტიკი გამოძიება 22 ოქტომბრის სისხლის ღვრისა, რომ დამნაშავენი დაისაჯნენ. პედაგოგთა კავშირის ბიურომ რეზოლიუცია წარუდგინა კავკასიის სამასწავლო ოლქის მზრუნველს.

◆ **ნამესტნიკთან იყო სომეხთა დეპუტაცია.** დეპუტაციამ მადლობა გადაუხადა მანიფესტის გამო და სთხოვა ზომების მიღება ამ შფოთიან დროში.

◆ ტფილისის მეორე საპოლიციო ნაწილში გუშინ, 25 ოქტომბერს, **მოჰკლეს ერთი პოლიციელი.**

◆ გუშინწინ კავკასიის იურიდიულ საზოგადოების გამგეობამ, საზოგადოების დადგენილებით, გრაფ ვიტტეს დეპეშით აცნობა ის საშინელი ძალმომრეობა და **უმაგალითო სისხლის ღვრა**, რომელიც 22 ოქტომბერს ტფილისში მოხდა. საზოგადოება სთხოვს ვიტტეს გაუქმდეს კავკასიაში საომარ დროის გაძლიერებულ დაცვის წესები, ურომლისოდაც შეუძლებელია ნორმალურ ცხოვრების განგრძობაო.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზამ მიიღო გზათა მინისტრის დეპეშა. მინისტრი ატყობინებს, აცნობეთ **მუშებს და ხელოსნებს**, რომ მთავრობა საჭირო ზომებს მიიღებს იმათ მდგომარეობის გასაუმჯობესებლადაო. ამას გარდა მინისტრი ატყობინებდა, თუ მუშები 24 ოქტომბერს შეუდგებიან მუშაობას, ეპატიებათ ყველა დანაშაული, რაც ამ გაფიცვის დროს ჩაიდინეს და ჯამაგირიც სრულად მიეცემათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯამაგირს ვერ მიიღებენო.

◆ **გარდაიცვალა გენერალი ზაქარია ჭავჭავაძე**, რომელიც ამას წინად, ნამესტნიკის განკარგულებით, კახეთის გლეხობის დასამშვიდებლად იქნა გაგზავნილი.

◆ ბ-ნ ვლ. ახმეტელაშვილმა ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობა აღძრა ტფილისში **ყოველ დღიურ გაზეთის გამოცემის** შესახებ. გაზეთს სახელად „სხივი" ერქმევა.

◆ 23 ოქტომბერს **გაჩხრიკეს ტფ. თავად-აზნაურთა** კერძო გიმნაზია, მაგრამ იქ არაფერი არ აღმოჩნდა. ნახეს მხოლოდ ერთი ცალი რაღაც პროკლამაციისა და ერთი წითელი დროშა. გიმნაზიაში სალდათები ჩააყენეს.

◆ 24 ოქტომბერს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს ეზოში **კრება ჰქონდათ** ამ სამმართველოს მოხელეებს. როდესაც ორატორი ავიდა ტრიბუნაზედ, ერთმა „სტოროჟმა" დაიძახა: „ძირს ორატორი!"-ო. ასტყდა ერთი აურ-ზაური. იქ მყოფმა ჯარმა თოფები დაუმიზნა შეკრებილთ. ხალხი სულ აქეთ-იქით სარდაფებში შევარდა, მაგრამ უბედურება არა მომხდარა და კრება ისევ განაგრძეს. კრებამ გადასწყვიტა, დელეგატები გაგზავნოს რკინის გზის უფროსთან, რომ მან ნება მისცეს საგანგებო მატარებლით წავიდნენ ხაშურამდის და ჩამოიყვანონ სადგურების დელეგატები, რომ მათთან ერთად მოილაპარაკონ. დელეგატები უკვე იყვნენ და უფროსმაც ნება დართო. 25 ოქტომბერს ორის ნახევარზე ჩამოვიდა საგანგებო მატარებლით რამდენიმე დელეგატი. დელეგატები არიან ბაქოს და ყარსის მხრიდან და ხაშურის სადგურამდე. მხოლოდ ბათუმის მხრიდან არ არიან. კრებას ბევრი საკითხი აქვს გადასაწყვეტი და, სხვათა შორის, ისიც, გავიდნენ თუ არა სამუშაოდ.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ **სახელოსნოებში 24 ოქტომბერს** უკვე დაიწყო მუშაობა. თავი გაანება მუშაობას მხოლოდ პატრიოტულმა პარტიამ.

◆ გუშინ, 25 ოქტომბერს, პირველ გიმნაზიაში, რომელიც 22 **ოქტომბერს აიკლეს და გიმნაზიელები დახოცეს**, გამომძიებელი იყო. გამომძიებელმა დაათვალიერა ეზო და ყველა ოთახი. როგორც გავიგეთ, ამ გიმნაზიისთვის სხვა შენობას ეძებენ.

◆ 19 ოქტომბერს ტფ. **ქალაქის საბჭოს ხმოსნებს** თათბირი ჰქონდათ იმის შესახებ მოსალაპარაკებლად, შეიძლება თუ არა 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ ხმოსნებმა დაიბრუნონ თავიანთი განცხადება და შეუდგნენ თანამდებობის აღსრულებას. ხმოსნებმა დაადგინეს, დაიბრუნონ განცხადებანი სამსახურიდან გადადგომის შესახებ, იმ პირობით, რომ საბჭომ ოფიციალურს პირველს კრებაზედვე განიხილოს საკითხი 29 აგვისტოს მომხდარ ხოცვა-ჟლეტის შესახებ, გამოარკვიოს, თუ რამდენად ბრალი მიუძღვის საბჭოს ამ საქმეში და მით გაიმართლოს თავი ქალაქის მცხოვრებთა წინაშე. ხმ. ა. ი. ხატისოვმა ლაპარაკი ჩამოაგდო მოურავად ნამყოფის ვერმიშევის შესახებ, დავიბაროთ და შეძლება მივცეთ თავი გაიმართლოსო. შემდეგ თავ. ა. მ. არგუთინსკიმ აღძრა საკითხი სახელმწიფოს სათათბიროს წევრთა არჩევის შესახებ. ა. ბაბოვმა თავისუფალ სახალხო უნივერსიტეტის და პოლიტეხნიკო მუზეის დაარსების და ა. ი. ხატისოვმა ლექციების ორგანიზაციისა და მიტინგებისთვის სადგომების მოწყობის შესახებ. კრებამ დაადგინა, ყველა ეს საბჭომ პირველს კრებაზედვე განიხილოს. ლაპარაკი ჩამოვარდა აგრეთვე იმის შესახებ, რომ საბჭომ უზრუნველ ჰყოს იმათი ოჯახობა, რომელნიც დაიღუპნენ 29 აგვისტოს ჟლეტვა-ხოცვის დროსაო. ეხლა, 22 ოქტომბრის ამბის შემდეგ, ხმოსნები ხელ ახლა ანებებენ სამსახურს თავს.

◆ 17 ოქტომბერს კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე არუშანოვისა, რომელსაც ბრალდებოდა **ყუმბარის გადაგდება** ამ წლის 25 ენკენისთვეს ორთაჭალაში და ყაზახების დაჭრა. სასამართლომ არუშანოვი დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა ჩამოხრჩობა. ეს განაჩენი ნამესტნიკის განკარგულებით, უნდა აღსრულებაში მოეყვანათ 24 საათში, მაგრამ დღემდის არ შეუსრულებიათ.

◆ ექვს ოქტომბრიდან დაწყებული კავკავის გზით, სანამ მატარებელი დადიოდა, **აუარებელი სათადარიგო ჯარი** მოჰყავდათ ამიერ-კავკასიაში. კავკავის გზა ბალაჯარამდის თითქმის ვერც-კი ასწრობდა ჯარის გადმოყვანას. ბალაჯარიდან ჯარის-კაცნი სხვა და სხვა პოლკებში იგზავნებოდნენ. ჯარის-კაცებმა ბევრგან უწესობანი ჩაიდინეს და კავკავის გზის სადგურები თითქმის სულ მიანგრ-მოანგრიეს.

◆ **ტფილისის პოლიცმეისტრად**, პოდპოლკოვნიკის ცისის ნაცვლად, რომელმაც სამსახურს თავი დაანება, დაინიშნა ახალციხის მაზრის უფროსი კაპიტანი პოდგურსკი.

◆ ნამესტნიკმა ნება დართო პრიტასევიჩს გამოსცეს კავკავში **ყოველ დღიური რუსული გაზეთი** „ვეს. კავკაზ"-ი.

◆ უკვე ვწერდით, რომ ტფ. **სამოქალაქო სკოლის მოსწავლეებმა** თხოვნა წარუდგინეს ნამესტნიკს. ნამესტნიკმა ნება დართო, საქალაქო სკოლის მეოთხე განყოფილებაში სწავლა დამთავრებულნი მიიღონ ხოლმე გიმნაზიის მესამე კლასში. დამატებით ამ მოსწავლეებს გამოსცდიან იმ საგნებში, რომელსაც საქალაქო სკოლაში არ ასწავლიან. ორ უფროს განყოფილების მოსწავლეთაც შეუძლიათ შევიდნენ გიმნაზიებში, თუ წლოვანობა ხელს არ შეუშლის. ეს წესი დროებით არის შემოღებული. დააკმაყოფილეს ამ მოსწავლეთა სხვა მოთხოვნებიც — საამხანაგო სასამართლოს, სალიტერატურო კითხვების მოწყობის და სხვათა შესახებ.

◆ 14 ოქტომბერს, დილით, საყოველთაო გაფიცვის წინა დღეს ნაძალადევში **სასიკვდილოდ დასჭრეს** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მემანქანე პეტროვი.

◆ როგორც მკითხველებმა იციან, ამას წინად უმაღლესმა მთავრობამ ამიერ-კავკასიის გუბერნატორებს მოსთხოვა დაწვრილებითი ცნობები გადასახადების შესახებ. ამ ცნობების მოთხოვნას კავშირი აქვს ამიერ-კავკასიაში ერობის შემოღებასთან. ეხლა, როგორც გუბერნიის სამაზრო ადმინისტრაციის ცნობებიდანა სჩანს, ამ გუბერნიაში შემდეგი **სასოფლო გადასახადები ყოფილა** (ამ გადასახადებით ისტუმრებენ სოფლის მოხელეთ, ინახავენ სკოლებს, გაჰყავთ გზები და სხვა) გაწერილი საზოგადოებებზე: ბორჩალოს მაზრაში 30 საზოგადოებებზე — 25,547 მ. 13 კაპ., ტფილისის მაზრაში 40,298 მანეთი; ახალციხისაში — 26,742 მან. 46 კაპ., სიღნაღისაში — 33 საზოგადოებაზე — 99,562 მ., თელავისაში — 51,545 მ. დუშეთისაში ყველა საზოგადოებაზე 76,532 მან. 78 კაპ., თიონეთისაში — 22,152 მან. 63 კაპ. და ახალქალაქისაში 73,632 მან. 99 კ. ზოგიერთ სასოფლო საჭიროებებს ფულის მაგიერ ჰირნახულით აკმაყოფილებს სოფელი.

◆ **ძირულა.** 19 ოქტომბერს, ღამე, ასე სამ საათზედ, მე-130 ვერსზედ, ორი **მატარებელი ერთმანეთს დასჯახებია.** სამი მომკვდარა, ათი დაჭრილა. ორივე ორთქლმავალი ძალზე დამტვრეულა.

◆ გუშინ, 25 ოქტომბერს, **ტრამვაის მუშაობა ქალაქში განახლდა.** გოლოვინის პროსპექტის გარდა, სადაც 22 ოქტომბერს ატეხილმა თოფის სროლამ დასწყვიტა მავთულები, ვაგონების მიმოსვლა ყველა ქუჩაში დაიწყო.

◆ **ალავერდის ეპისკოპოსად** დაინიშნა დედათა ინსტიტუტის საღმრთო სჯულის მასწავლებელი დეკანოზი კონჩუაშვილი.

◆ 21 ოქტომბერს ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილემ სთხოვა გენერალ-გუბერნატორს, ნება დაერთო **საბჭოს ხმოსნებისთვის** 22 ოქტომბერს შეკრებილიყვნენ სხვა და სხვა საკითხის განსახილველად. გენერალმა ჟილიაიმ ნება არ დართო.

◆ სოფელ ძიერეთში (შორაპნის მაზრა) ამ სამი კვირის წინად **მოუკლავთ ადგილობრივი მემამულე** მდივანი იმ დროს, როცა შარაზე მიდიოდა. თოფის ტყვია მკერდში მოხვედრია და მეორე დღეს დაჭრის შემდეგ გარდაცვლილა. მდივანს ამას წინად ბოიკოტი გამოუცხადეს.

◆ ქუთაისიდან გვატყობინებენ: სოფლიდან ხმა მოდის, რომ დროებით ვალდებულნი გლეხნი **სანადელო გადასახადს არ იხდიანო.** მემამულენი, ამ გარემოებით შევიწროებულნი, ადგილობრივ სამაზრო ადმინისტრაციის სთხოვენ შემწეობას. სულ სხვა მდგომარეობაშია სალალოთ მიცემულ ადგილების საქმე გლეხები უფრო ერთ შემთხვევაში გაუსწორდნენ მემამულეთ იმ პირობის თანახმად, რომლითაც ამ წლის გაზაფხულზე შეეკრნენ მემამულეთ.

ქუთაისის ამბები

◆ გიმნაზიაში ჯერ სწავლა არ დაწყებულა. გიმნაზიის დირექტორი ჩებიში, რომელიც ამას წინად მოსწავლეთა გაფიცვის გამო ტფილისში იყო მზრუნველთან მოხსენების წარსადგენად, დაბრუნდა და მოსწავლეთ გამოუცხადა, რომ მათ თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინონ გიმნაზიის მთავრობას, რომელიც, თუ შესაძლებელად ვერა სცნობს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, იძულებული იქნება სასულიერო სემინარიის მსგავსად გიმნაზიაც სამუდამოდ დახუროსო.

◆ საზოგადო გაფიცვამდე, ქუთაისში მოხდა ხელზე მოსამსახურეთა და ლაქიების გაფიცვა. სასტუმროებისა და რესტორანების მოსამსახურენი შეეთანხმნენ დამქირავებელთ. უმეტესი ნაწილი მსახურთა მოთხოვნილებისა დაკმაყოფილებულ იქნა, კერძო პირთა მოსამსახურენი-კი ვერ შეთანხმდნენ.

◆ საზოგადო გაფიცვამდე მოხდა სტამბების მოსამსახურეთა გაფიცვა. ისინი პოლიტიკურ მოთხოვნილებათა გარდა თხოულობდნენ სასყიდლის მომატებას. 13 ოქტომბერს მოხდა სტამბის პატრონთა კრება. ქუთაისში ამ ჟამად სულ ხუთი კერძო სტამბაა და ერთიც საგუბერნიო. უმეტესი ნაწილ სახელმწიფო დაწესებულებათა დასაბეჭდ მუშაობისას ასრულებს თურმე გუბერნიის სტამბა. კერძო სტამბები კონკურენციას უწევდნენ სახელმწიფოსას და ამის გამო ზოგიერთ შემთხვევაში სამუშაოს იღებდნენ დამოგების მაგივრად ზარალობდნენ. გუბერნიის სტამბამ, განსაკუთრებულ პირობებში ჩაყენებულმა, თითქმის მთელი სამუშაო ხელთ იგდო.

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

24 ოქტომბერი.

ლონდონი, 23 ოქტომბერი. დღეს დილით, სოციალ-დემოკრატების კავშირმა დემონსტრაცია გამართა ტრაფალგარ-სკვერში რუსეთის მუშებისთვის თანაგრძნობის გამოსახატავად. დემონსტრაციაში მონაწილეობდა რამდენიმე ათასი კაცი და ქალი.

ნოვგოროდი, 23 ოქტომბერი. მიტინგების გამმართველნი უკანასკნელ დღეებში გავიდნენ ქალაქიდან. ქუჩებში დემონსტრაცია გამართეს ხელმწიფის სურათით ხელში და შემდეგ საბჭოს დარბაზში შევიდნენ. წარმოთქმულ იქნა შესარიგებელი სიტყვები და სთხოვეს ხმოსნებს, დონე იხმარონ სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლადო. — გაუგზავნეს დეპეშა ხელმწიფეს, რომელშიაც აღფრთოვანება იყო გამოთქმული ნოვგოროდის ხალხისა. საქალებო გიმნაზია მეორეჯერ დააწიოკეს. სოფიისკი მოედანზე ეპისკოპოსმა თეოდოსიმ სიტყვა წარმოსთქვა ძმურ ერთობასა და ქრისტეანულ სიყვარულზე. შემდეგ მან სთხოვა ხალხს, დაშლილიყო და დაემშვიდებინა ოჯახი.

ყაზანი, 23 ოქტომბერი. გუშინ გაანადგურეს ებრაელების სინაგოგა. მიუხედავად ამისა, ქალაქი მშვიდდება. თათრები ღრმად შეძრწუნა სინაგოგის დაწიოკებამ.

მოსკოვი, 23 ოქტომბერი დიდძალი ბრბო შემოერტყა საინჟინრო სასწავლებელს, სადა დილით აფიცანტების კრება იყო და საღამოთი რკინის გზის მოსამსახურეებისა. რამდენჯერმე გაისროლეს. თავდამსხმელთა შორის დაჭრილები არიან. მიტროპოლიტ ვლადიმერის წერილს ქუჩებში არიგებდნენ. მეტს წილს დამშვიდება სწადიან.

ჰელსინგფორსი, 23 ოქტომბერი. გაფიცვა გრძელდება. გუშინ სახალხო ერილობაზე მოედანზე მოხდა არჩევნები დროებით მთავრობის კანდიდატებისა. ჯარი არ ჩარეულა.

პლოცკი, 23 ოქტომბერი. დღისით შეიკრიბა ბრბო და აათრიალა დროშა ერთ-თავიან თეთრი არწივით. ბრბო გაჰფანტეს დრაგუნებმა.

რიაზანი, 23 ოქტომბერი. საზაფხულო საკრებულოს შენობაში კრებულობა მოხდა პოლიტიკურ საკითხებზე სჯა-ბაასის დროს; საშინელი აღიაქოთი ასტყდა. ხალხი აქეთ-იქით გაიფანტა. ზოგიერთი ორატორი და ნაწილი დამსწრე საზოგადოებისა ჩაიკეტა საკრებულოში. ბრბო ითხოვდა მათ გამოსვლას და ცეცხლიც შეუკეთა შენობას. მოვიდა ადმინისტრაცია სალდათებით, განთავისუფლა იქ ჩაკეტილები და გაძლიერებულ კანვოის ქვეშ ყაზარმებში გაისტუმრა. ამის შემდეგ ქალაქში გამართა პატრიოტული მანიფესტაციები და გაანადგურეს თითქმის ყველა მაღაზიები ებრაელებისა. ცეცხლის წაკიდებასაც შეეცადნენ. ჯარი გამოიწვიეს. ცეცხლი ჩააქრეს გაძლიერებამდე.

ბლაგოვეშჩენსკი. ქალაქს გამოცოცხლება დაეტყო. იგი შენდება, ვაჭრობაც ჩაღდება. ჯერ კიდევ არის სიძვირე.

ველიკი უსტიუგი, 24 ოქტომბერი. მთელს საღამოს ბრბო აწიოკებდა იმ პირების ბინებს, რომელნიც სიტყვებს ამბობდნენ მიტინგებზე.

დონის როსტოვი, 23 ოქტომბერი. ბირჟის კომიტეტმა დაადგინა, დეპეშით აცნობოს ვიტტეს, რომ ეხლანდელ პოლიციის და ადმინისტრაციის მეოხებით ყოვლად შეუძლებელია ნორმალურ ცხოვრების განახლება; საჭიროა დამნაშავენი დაუყოვნებლივ სამართალში იქმნენ მიცემულნიო.

პოლტავა, 23 ოქტომბერი. მაღაზიები დაკეტილია. გაფიცვას განაგრძობენ. შესდგა თავის დამცველი რაზმი.

ქუთაისი, 23 ოქტომბერი. სამხედრო მატარებელი ლიანდაგს გადასცდა. მოკვდა 8, დაიჭრა 17 სალდათი. მძიმედ დაიჭრა პოდპოლკოვნიკი აბაზაძე. მატარებელს სროლა დაუწყეს. სალდათებმა პასუხი გასცეს. მოჰკლეს 2, დააპატიმრეს 3, მათ შორის ლიანდაგის ოსტატი. ეს ჯარი მიდიოდა გურიაში, სადაც ამ ჟამად სისხლის მღვრელი შეტაკებებია.

გოლდზიაჩი, 23 ოქტომბერი. მთელი ღამე ებრაელთა აკლება იყო. დარაჯებმა ვერა გააწყო რა. ამკლებნი ცოტანი არიან.

ელისავეტგრადი, 23 ოქტომბერი. ადესაში წასული მგზავრები შუა გზიდან დაბრუნდნენ. სადგურებზე დიდი შიშია.

ოლვიოპოლი, 23 ოქტომბერი. ამბობენ, მაზრის იმ ადგილებიდან, სადაც ებრაელები სცხოვრობენ, ცუდი ხმები მოდისო.

აკკერმანი, 23 ოქტომბერი. გუშინ პატრიოტულ მანიფესტაციის შემდეგ, რომელსაც ხელმწიფის სურათი მიჰქონდა, აიკლეს და გადასწვეს ებრაელთა სახლები. არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

კალუგა, 23 ოქტომბერი. ბრბომ ჰიმნის მღერით, პატრიოტულ დროშებით და ხელმწიფის სურათით გაჰმართა პროცესია. ბრბომ დალეწა მაღაზიები და დასჭრა ხალხი.

ტომსკი, 22 ოქტომბერი. 20 ოქტომბერს მოვაჭრეებმა და მუშა ხალხმა დილის 8 საათიდან დაიწყო თავის მოყრა მოედანზე. ხალხი ზიზღს აცხადებდა მაღაზიებისა და სხვა სავაჭრო სახლების დაკეტაზე და უკმაყოფილოდ იყო, რომ გაფიცულები ხელს უშლიდნენ მუშაობის განგრძობას. ხალხი ამბობდა: „არ გვინდა ჩვენ ახალი წეს-წყობილება; ჩვენ მამა-პაპას ჰყოლია მეფე და არც ჩვენ შეგვიძლია უმისოდ ცხოვრებაო“. აი, ააფრიალეს დროშები და ხალხმა გამოიტანა პოლიციიდან ხელმწიფის ორი სურათი. მაშინ გაისმა ხანგრძლივი „ურა“-ს გრიალი. მანიფესტანტები გაემართნენ სობოროს მოედნისაკენ, გზა და გზა სხვებიც უერთდებოდნენ. ძალათი ხდიდნენ ქუდებს გამვლელ-გამომვლელთ და სცემდნენ. ხალხი შეჩერდა ეპისკოპოსის სადგომთან და ითხოვა ლოცვის გადახდა სობოროში ხელმწიფის დღეგრძელობისთვის. ამ დროს თეატრში მიტინგი იყო გამართული 3.000 კაცის. როდესაც სობოროს მოედნიდან წამოსული ხალხი დაუახლოვდა სობოროს, დაეცა თეატრიდან გამოსულ ხალხის ერთ ნაწილს რევოლვერების სროლით. ხალხი ჯერ კი შეჰკრთა, მაგრამ შემდეგ ისიც დაეცა მსროლელებს და ასტყდა მათ შორის საზარელი შეტაკება და შეუბრალებელი ცემა-ტყეპა. ხალხი გულ გახეთქილი გაიფანტა და იმალებოდა, სადაც კი მოასწრებდა. ექვსასამდე კაცმა და ბავშვმა შეასწრო როგორც იყო და თავი შეაფარა თეატრსა და რკინის გზის სადგურს. პატრიოტები შემოეხვივნენ შენობებს და მოითხოვეს გარედ გამოსულიყვნენ. ამათ პასუხად რევოლვერების სროლა დაუწყეს. პოლიცია და ჯარი ჯერ არსად სჩანდა, მაგრამ მალე ასი ყაზახი და ერთი როტა სალდათი შემოერტყა თეატრსა და რკინის გზის სადგურს. მანიფესტანტები ეხლაც არ დამშვიდდნენ და აუშენეს ჩახა-ჩუხი ფანჯრებსა და კარებს, შეცვივდნენ სახლებში, მოასხეს ნავთი და ცეცხლი მისცეს თეატრსა და სადგურს, რომელიც ხალხთან ერთად გაძლიერებულ ცეცხლის ალში მოჰყვა. იწოდა ხალხი ჯარისა და ათასობით თავმოყრილ ქალაქის მცხოვრებთა თვალ წინ და შველა არსაიდან იყო. ბევრი ფანჯრებიდან ხტებოდა ან სახურავებზე ადიოდა და ვაი ვაგლახით და საწვიმარ მილებით მოცოცავდა ძირს. მალე მოვიდა ცეცხლის მქრობი რაზმი, მაგრამ არ მიუშვეს შენობასთან და არც იმათ, არც სხვებს აღარ ზოგავდნენ, მხოლოდ საღამოს 12 საათზე, როცა ჩამოინგრა შენობების სახურავი და ჭერი, მისცეს ცეცხლის ჩაქრობის ნება და თვითონაც გაიფანტნენ. რკინის გზის მთელი საქმეები დაიწვა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

24 ოქტომბერი.

პეტერბურგი, 23 ოქტომბერი. 21 ოქტომბერს ვიტტემ მიიღო ერობისა და ქალაქის მოღვაწეთა საორგანიზაციო ბიუროს წევრნი: გოლოვინი, კოკოშკინი და თავ. ლვოვი. იმათთან საუბარში ვიტტემ სთქვა, რომ ყველა წრეებისა და პარტიებიდან ჩემთვის უფრო ახლოა შეხედულებანი ერობის და ქალაქის მოღვაწეთა კრებისაო. წევრებმა აცნობეს ვიტტეს, რომ ერთად-ერთი ხსნა ეხლანდელ გაჭირვებიდან გამოსასვლელად არის დამფუძნებელი კრება, საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და დახურულ კენჭის ყრით მოწვეული. ამ კრებამ უნდა შეიმუშაოს ძირითადი კანონი. მანიფესტით დაპირებული თავისუფლება დაუყოვნებლივ განხორციელებულ უნდა იქმნას. საჭიროა სრული პოლიტიკური ამნისტია; ეხლავე ხალხს უნდა მიეცეს სრული საარჩევნო უფლება და განხორციელდეს სხვა რეფორმებიო. ვიტტემ მიუგო, რომ ეხლანდელ აღელვებულ დროს შესაძლებლად მიაჩნია მთავრობამ იკისროს ისეთი ძირითადი რეფორმა, როგორიც საყოველთაო საარჩევნო უფლებაა. ეს რეფორმა უნდა მოახდინოს სახელმწიფო სათათბირომ. სულ ცოტა ხანში გაფართოვებული იქნება საარჩევნო უფლება სახელმწიფო სათათბიროში იმით, რომ მუშებს ეყოლებათ თავიანთი წარმომადგენლნი, ცენზით არჩეულნი. საბოლოო კანონები მოქალაქობრივ თავისუფლების შესახებ გამოცემულ იქნება სათათბიროს მიერ. ეხლა-კი დრებითი წესები იქნება შემოღებულიო.

ვარშავა, 23 ოქტომბერი. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით შეაჩერეს ვარშავის ყველა გაზეთები, რომელნიც უცენზუროდ გამოვიდნენ. რედაქტორებმა გადასწყვიტეს, არ გამოსცენ გაზეთები და გენერალ-გუბერნატორის განკარგულება განასაჩივრონ პეტერბურგში.

კალიში, 23 ოქტომბერი. გუშინ, შუადღისას, წმ. იოსების ეკლესიის კოშკზე გაჩნდა ორი მებუკე და ორჯელ დაუკრა სიმღერა „ღმერთო; ჰფარვიდე პოლონეთს“. შემდეგ კოშკის თავზე ააფრიალეს დროშა პოლონეთის სახელმწიფო გერბით. დღეს მებუკეებმა გაიმეორეს ჰიმნი. მიტინგზე სახალხო პარტიის ორატორებმა საჭიროდ სცნეს სრული ავტონომია პოლონეთისა, რომლის სეიმიც ვარშავაში უნდა იყოს.

კრონშტადტი, 23 ოქტომბერი. მატროსებმა, სალდათებმა და მუშებმა აიკლეს რამდენიმე სარომკიპო. დაიბარეს ჯარი, რომელიც სროლას შეუდგა. ზოგიერთ ქუჩას ჯარი შემოერტყა.

ივანოვო-ვოზნესენსკი, 23 ოქტომბერი. დაიწყო ებრაელთა აკლება. გაძარცვეს რამდენიმე დუქანი და სახლი. არიან მოკლულნი და დაჭრილნი. ქუჩაში დადის ბრბო თეთრის ნიშნებით და მეფის სურათით. განთავისუფლეს პოლიტიკური დამნაშავენი.

მოსკოვი, 2 ოქტომბერი. ლაქიები განაგრძობენ გაფიცვას. მუშებმა ალყა შემოარტყეს საინჟინერო სასწავლებელს და ქვები დაუშინეს. პასუხად სტუდენტებმა თოფებიდან და რევოლვერებიდან დაიწყეს სროლა. მოკლულ იქნა ექვსი და დაჭრილ 14. ყაზახები და ქვეითა ჯარი შემოარტყეს სასწავლებელს, სადაც სტუდენტები არიან.

რიგა, 23 ოქტომბერი. მოსკოვის ფორშტადზე, სადაც ებრაელები სცხოვრობენ, გაიარა პატრიოტულმა მანიფესტაციამ ხელმწიფის სურათით. მოხდა შეტაკება. მოჰკლეს 10, დასჭრეს 25. ფორშტადტში ჯარი ჩააყენეს.

მინსკი, 23 ოქტომბერი. დასრულდა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა.

ფეოდოსია, 26 ოქტომბერი. ქალაქს იცავს სევასტოპოლიდან მოსული ჯარი. მკვლელობებია. დასწვეს და აიკლეს ქალაქის გამგეობა, თეატრი და რესტორანი. გადასწვეს აგრეთვე ორი სტამბა და მრავალი მაღაზია.

პეტერბურგი, 23 ოქტომბერი. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი დურნოვო დაინიშნა ამ სამინისტროს გამგედ.

24 ოქტომბერი

ადესა, 23 ოქტომბერი. ბევრ ქუჩებში დააწიოკეს ყველა მაღაზიები, ბინები და სამრეწველო დაწესებულებანი ებრაელებისა. მცხოვრებლებმა აქტი შეადგინეს პარტულების უღირსო ყოფა-ქცევაზე. გრადონაჩალნიკმა წინადადება მისცა რედაქტორებს, დაამშვიდონ ხალხი.

მარიუპოლი, 23 ოქტომბერი. ებრაელების ჟლეტა-ხოცვამ დღევანდელ დილამდე გასტანა. თითქმის ყველა მაღაზიები და სახლები გაუნადგურეს ებრაელებს. ნამდვილი ზომები არ იქმნა მიღებული. დღეს არ განახლებულა ჟლეტა.

უმანი, 23 ოქტომბერი. გუშინ სამჯერ დაახალეს თოფი ხალხს. გლეხები მიისწრაფიან ქალაქისაკენ, მაგრამ მათ ჯარი აკავებს.

ელისავეტგრადი, 23 ოქტომბერი. ხმოსნების თათბირზე დაადგინეს, ათასი მან. შესწირონ დაწიოკებისაგან დაზარალებულთ. საბჭოში ჩქარა განიხილავენ საკითხს საქალაქო მილიციის დაარსების შესახებ. ხმოსნების კომიტეტმა ნაწილ-ნაწილად დაჰყო ქალაქი და შეუდგა დაზიანებულთა მდგომარეობის გამოკვლევას და მათთვის დახმარების აღმოჩენას.

ვარშავა, 23 ოქტომბერი. დემონსტრანტების რიცხვი 250,000-მდე ავიდა. ისინი მარშალკოვსკის ქუჩით მივიდნენ ჯვრის ტაძართან და იქიდან ნელ-ნელა და მშვიდად დაიშალნენ. გარეშემო აივნები ხალიჩებითა და ბაირაღებით იყო მორთული. ალაგ-ალაგ სიტყვებს ამბობდნენ. სალამს უძღვნიდნენ მოღვაწეებს. ყველაზე აღფრთოვანებული ოვაცია გაუმართეს სენკევიჩს, რომელმაც აივნიდან სიტყვა წარმოსთქვა, აგრეთვე მიეგებნენ შვეიცარიის საკონსულოს. საღამოთი ქალაქში ილიუმინაცია გაიმართა. წეს-რიგი ჩინებულია.

ჩერნიგოვი. ჟლეტა-ხოცვა დაიწყო, მაგრამ შეაჩერეს იარაღის უხმარებლად. ძლიერ გაძნელდა ჟლეტის შეჩერება ნეჟინში.

მინსკი. საბჭოს გადასწყვიტა დაარსოს ღამის ყარაულები, მიჰმართოს მცხოვრებთ მოწოდებითა და მანიფესტის განმარტებით და ძეგლი დაუდგან მოკლულებს.

ზლატოუსტი. რკინის გზების მოსამსახურეების მოთხოვნები დააკმაყოფილეს. სადგურს გამოცოცხლება ეტყობა.

რიაზანი. კონსერვატიულისა და რევოლიუციონურ პარტიების შეტაკების დროს პირველმა გაიმარჯვა. მოკლულია ორი. შემდეგ ებრაელების სახლებსა და მაღაზიებს დაუწყეს ნგრევა. გამოიწვიეს ჯარი.

ბერლინი, 23 ოქტომბერი. გაზეთები იმედს გამოსთქვამენ, რომ ვიტტე მოახერხებს კონტრრევოლიუციის ჩაქრობას და უსისხლოდ აღადგენს წეს-რიგს. ამნისტიის შესახებ აქა-იქ ლაპარაკობენ, თუ მთავრობას ჰსურს სრული ნდობა დაიმსახუროს, საჭიროა საყოველთაო ამნისტიაო.

ვენა. შაბათის ამბების გამო უნივერსიტეტი გამოურკვეველ დრომდე იქმნა დახურული.

კოპენჰაგენი. მთავრობის ორგანო „დანნებორგ“-ის აზრით, ფინლიანდია განათლებულ ქვეყანად გარდაიქცევა, რაკი რუსეთის უღელი მოიცილა, და გზასაც უჩვენებს რუსეთს მისის კულტურულ მიზნის განხორციელების საქმეშიო.

ირკუტსკი. სადგური არ ჰგზავნის მატარებლებს რუსეთში, თუმცა ზაბაიკალის გზა მუშაობს. მიმოსვლას ხელს უწყობდა რკინის გზის ბატალიონი. მგზავრების მიმოსვლა გაიხსნება ერთის დღის შემდეგ. ქალაქში სიმშვიდეა. მაღაზიები დღეს დაკეტილია.

ნარვა, 24 ოქტომბერი. დღეს გაიხსნა მიმოსვლა ბალტიის რკინის გზაზე. ქალაქსა და ახლო-მახლო ადგილებში არავითარი არეულობა არ ყოფილა, გარდა გაფიცვებისა. მცხოვრებლები სრულის ინდიფერენტიზმით უცქეროდნენ რუსეთის დანარჩენ კუთხეების ამბებს.

ვასილკოვი, 24 ოქტომბერი. დღემ მშვიდად ჩაიარა. სატუსაღოსა და ხაზინას ჯარი იცავს. ობუხოვში ებრაელების ჟლეტა თვითონ გლეხების საზოგადოებამ შეაჩერა.

პეტერბურგი, 24 ოქტომბერი. ოფიციალური მთავრობის განცხადება. იმპერიის სხვა და სხვა ადგილას უწესოება ხდება და ამიტომ დიდძალი განცხადებები და შუამდგომლობანი მოუდის მთავრობას. ზოგი ჯარების გადაჭარბებულ მხნეობას ჩივის, ზოგი უმოქმედობას. ერთნი ჯარებს თხოულობენ, მეორენი — ჯარების წაყვანას. თითქმის ყველა თხოულობს, რომ საგანგებო გამოძიება იქნეს დანიშნული ადგილობრივ. შეუძლებელია ეხლავე გამოირკვეს ესა თუ ის ნამდვილი მიზეზი უწესოებისა. მაგრამ ერთი რამ-კი საკმაოდ ცხადია: მთავარი მიზეზი ეხლანდელ სამწუხარო მოვლენათა არის განხეთქილება, რომელიც არსებობს მცხოვრებთა სხვა და სხვა ნაწილებ შორის. იმ პირთა ჯგუფები, რომელნიც არ არიან დაკმაყოფილებული 17 ოქტომბრის მანიფესტით, გადაჭარბებულის სიმკაცრით ამჟღავნებენ თავიანთ უკმაყოფილებას, ამით აშფოთებენ იმათ, ვინც მადლობით მიიღო უმაღლეს მთავრობის ეს აქტი, და იწვევენ მკაცრ წინააღმდეგობას იმათ მხრივ, ვინც ჯერ მიმხვდარი არ არის ახალ რეფორმის მნიშვნელობას. ერთად-ერთი საშუალება შეტაკებათა შეწყვეტისა არის გამსჭვალვა ყველასი იმ ღრმა რწმენით, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტში გამოცხადებული ნება მეფისა შეურყეველია, ცდა იმ პირებისა, რომელნიც უწესოებას იწვევენ და ეწინააღმდეგებიან ამ ნებას, უნაყოფო იქნება და ხელს ვერ შეუშლის ხელმწიფე იმპერატორის მიერ გამოცხადებულ რეფორმის აღსრულებას. ამასთანავე ამ პირებისათვის აუცილებელია ზომიერება, რომ არ გამოიწვიონ წინააღმდეგობა მცხოვრებლების ძლიერ და მშვიდობიან ნაწილისა, მით უფრო, რომ უახლოეს დროში ყველა პარტიებს ექნებათ საშუალება ლეგალურ ბრძოლისა წარმომადგენლობით დაწესებულების კედლებ შუა. ისინი-კი, ვინც გრძნობს თანდაყოლილ ერთგულებას თავის ხელმწიფისადმი, მოვალენი არიან ხელი შეუწყონ ქვეყნის დამშვიდებას. წესიერებას უნდა იცავდნენ და არავითარი ძალმომრეობა არ იხმარონ სხვებზე. მთავრობას სურს 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელების დროს დაემყაროს რუსეთის საზოგადოების მშვიდობიან უმრავლესობას, რომლისთვისაც ძვირფასია რუსეთის მომავალი განვითარება მოქალაქობრივ თავისუფლებისა და ტერიტორიალურ მთლიანობის საფუძველზე. მთავრობას ამ მხრივ საგანგებო იმედი აქვს რუსულ პრესის დახმარებისა, რადგან პრესას არ შეიძლება შეგნებული არ ჰქონდეს, რომ ყველა რუსების სულიერი ერთიანობაა საჭირო რუსეთის გადასვლისათვის ახალ სახელმწიფო პირობებში.

პეტერბურგი. 13 ოქტომბერს ჯარის მიერ დახოცილების დასაფლავება დემონსტრატიულად არ ყოფილა თვითონ მუშების კომიტეტის გადაწყვეტილებით. დასაფლავებამ მშვიდობიანად ჩაიარა. ნევსკი პროსპექტზე მაინც დიდძალი ხალხია. თვითონ მუშები სთხოვდნენ ხალხს დაშლას.

ელისავეტგრადი. დაწიოკებულ ებრაელების მდგომარეობა მეტად სამწუხაროა. რამდენიმე ასი ოჯახი უსახლკაროდ და უსასმელ-საჭმელოდ არის დარჩენილი. შესდგა კომიტეტი ამათ დახმარებისათვის.

მაგილიოვი, 23 ოქტომბერი. გუშინ დიდი ბრბო ხელმწიფის სურათით მივიდა საკათედრო ტაძრის მოედანზე, საიდანაც ჰიმნის სიმღერით ქუჩებს დაუარეს, რომ ებრაელების სახლის ფანჯრები ჩაემტვრიათ და საქონელი ქუჩაზე გადმოეყარათ.

ადესსა. 23 ოქტომბერი. არეულობა თანდათან წყნარდება. ღამე აწიოკებდნენ მდიდარ სახლებს პატარა ფონტანზე. ყველაზე დიდი დაწიოკება სლაბოდკა რომანოვკაში იყო. ნაძარცვი ნივთები პოვოზკებით მიჰქონდათ. უსახლკაროდ დარჩენილებს ქალაქის დაწესებულებებში ათავსებენ. ადესას არ ენახავს ასეთი საშინელებანი. გაკრულია კაულბარსის ახალი განცხადება, სადაც ნაბრძანებია, რომ მაშინვე სროლა დაუწყონ, ვინც სახლსა, მაღაზიას ან ბინას დაეცემა თავს. ღამე არეულობა იყო ქალაქის დაშორებულ ადგილებში. პარასკევს, როცა იარაღი აჰყარეს თავის დამცველებს, დაიწყო უწყალო ჟლეტა ებრაელებისა. მონაწილეობას იღებდნენ ადესელებიცა და მოსულებიც. მძარცველებ შორის ბევრია სხვა ტანისამოსში გამოწყობილი პოლიციელები.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მსესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარით გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორსი ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/a, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.)

ახლად კურს დამთავრებული
ტფილისის ქალაქის საპროფესიონალო სასწავლებელში, კისრულობს ასწავლოს
ჭრა-კერვა
სუფთა ხელ-საქმე და ამზადებს ატესტატზედ. ქუთაისი, ივანოვის ქ., ექ. ჯანჯავაძის სახ. **მ. ყიფიანისა.** (15—389—11)

მასწავლებელთა საყურადღებოდ
დაიბეჭდა და იყიდება ე. ხრამელაშვილის მიერ ახლად შედგენილი
არითმეტიკული კრებული
პირველ დაწყებით სკოლებისათვის ნაწ. I. (მოქმედებათა შესწავლის მეთოდით). ფასი ერთი აბაზი. ვინც 20 ცალს ერთად იყიდის, მანეთზე აბაზი დაეთმობა. საწყობი სოსიკო მერკვილაძესთან. ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა.“ (10—414—1)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას **სამკურნალო,**
რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ,** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ახლად დაბეჭდილი
სამზარეულო
ფასი 1 მან. 50 კაპ.
იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (წლ.)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
კიოსკში
ლორის-მელიქოვის ქუჩ., ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კაპ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა — პოემა პაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელო, მოთხრობა — შელასიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	—
II და III ტომი თითო	1	—
ილ. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
სოფლის კუნძულ, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე — საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო — პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი — ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი — ჰენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია — ფოსტერისა	—	20
ხენთო რაფფისა, თარგმანი სომხურიდან კ. ევანგულოვისა	1	—

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს“ გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა.
არის
დიდძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.
მ. და ი. მანდლ
მიიღება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შემლებას აძლევს „ექსელანს“-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.
საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად
„ექსელანსის“ მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს. (50—6.—13)

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ.“-სა.